პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 22 (1451). პარასკევი, 28 მაისი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

30 მაისი სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული

მზიანი და ხალისიანი გაზაფხული დგას ჩვენს ქვეყანაში. მწვანედ ხასხასებს მინდორ-ველი. სოფლებში, მინდვრებსა თუ მთის ფერდობებზე ჯერ კიდევ ყვავილობენ ხეები. ქალაქების ქუჩებში გამოჩნდა წითელი ვარდები და მიხაკები.

გაზაფხული სიყვარულის, სიმღერებისა და ვარდების დროა. გაზაფხულზე მუდამ სხვანაირად ძგერს გული.

ხვალ, 30 მაისს, ჩვენი ძველთაძველი, მაგრამ მუდამ ჭაბუკი დედაქალაქის თბილისის ქუჩებს, მოედნებს, სკვერებსა თუ პარკებს სიმღერებით აავსებენ ჩვენი ქალაქის მკვიდრები. ყვავილებისა და სიმღერების დღესასწაული, რომელიც ასეთი დიდი მასშტაბით პირველად ჩატარდება თბილისში, უეჭველია სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი დედაქალაქის სიმშვენიერე და სილამაზე.

ყვავილები გულის სიხარულია. ყვავილები ალამაზებენ და ამშვენიერებენ ცხოვრებას. ჩვენი ქვეყანა ვარდ-ყვავილთა ნამდვილი სამეფოა. წარმოუდგენელია ჩვენში მოიძებნოს ისეთი პოეტი, რომელსაც შთაგონებით არ ემღეროს ბუნების ამ მშვენებისათვის. და მაინც, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ თბილისში ჯერ კიდევ ცოტაა ყვავილები. საჭიროა ჩვენი დედაქალაქის ყველა პარკი, სკვერი თუ გაზონი ვარდ-ყვავილთა ნამდვილ თაიგულად გადავაქციოთ. ყველა ეზოში, ყველა სახლის წინ უნდა კიაფობდეს და დამათრობელ სურნელს აფრქვევდეს კეთილშობილი ვარდი თუ იასამანი.

ნათქვამია სიმღერა კაცთან ერთად გაჩნდაო. ქართულ სიმღერას უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები აქვს. სიმღერით ებრძოდა ხალხი შემოსეულ მტერს. სიმღერით იადვილებდა მძიმე შრომას. სიმღერით [illegible] ყველა ლხინსა თუ ქორწილს.

ქართული ხალხური სიმღერა ჩვენი ნამდვილი საუნჯეა. საჭიროა უდიდესი სიყვარულით და მონდომებით ვზრუნავდეთ მას, ვუფრთხილდებოდეთ და ვამდიდრებდეთ ხალხური სიმღერის ტრადიციებს. დასამალავი არ არის, რომ უკანასკნელ ხანებში შენელდა ხალხური მუსიკის პროპაგანდა. ესტრადებიდან ხშირად ისმის რაღაც „მოდერნისტული" ჯაზური ჩხავილი, უცხოურ მელოდიაზე დაწერილი ეს „შედევრები" სრულდება საქართ. კონცერტებზე. ამ ამბავმა სერიოზულად უნდა დააფიქროს ქართული ხალხური მუსიკის მოყვარულნი. ქართულ ხალხურ მუსიკას კონცერტებზე, ესტრადებზე, რადიოსა თუ ტელევიზორში ყოველდღიური დაუღალავი პროპაგანდა სჭირდება.

სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული უდავოდ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ქართული ხალხური მუსიკის შემდგომ აღმავლობაზე.

გაზაფხულის გაცისკროვნებული დღეებით ეგებება სიმღერისა და ყვავილების დღესასწაულს ჩვენი ულამაზესი, პოეზიის, სიმღერებისა და ყვავილების დედაქალაქი თბილისი.

თანამედროვეობის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში

20-21 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო დისკუსია თემაზე: „თანამედროვეობის თემა დღევანდელ ქართულ მწერლობაში".

დისკუსია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა **სერგი ჭილაიამ**. თანამედროვეობა — თქვა მან — მუდამ იყო და არის მწერლობის მთავარი საგანი. ყოველი ეპოქის გამორჩეული მწერალი თავისი ეპოქის ამსახველი იყო. ამის მაგალითს კლასიკური მწერლობა იძლევა. საბჭოთა მწერლობა ხომ კლასიკური მწერლობის ღირსეული მემკვიდრეა და ვალდებულია თავისი დროის მოვლენების ამსახველი იყოს.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა მწერლობის განყოფილების გამგემ **ბესარიონ ჟღენტმა**.

— ქართული მწერლობა, — თქვა მომხსენებელმა, — უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დგას. მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება საზეიმოდ აღნიშნოს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ქართულმა მწერლობამ ამ საზეიმო დღეებში უნდა აჩვენოს, თუ როგორ ღირსეულად ახორციელებს იგი ოქტომბრისა და ლენინის იდეებს. გაისად შეიკრიბება ქართველ მწერალთა მორიგი ყრილობა. ჩვენ ანგარიში უნდა ჩავაბაროთ ქართველ ხალხს იმის შესახებ, თუ რა გავაკეთეთ ყრილობიდან ყრილობამდე. გაისად სექტემბერში გადავიხდით შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ჩვენ ამ დიდი იუბილის დღეებში ისიც უნდა დავამტკიცოთ, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა რუსთაველის ღირსეული მემკვიდრეა. მაშასადამე, მომავალი ორიოდე წელიწადი დაძაბული შემოქმედების წლები იქნება. სწორედ ამ დიდი ამოცანების ასპექტში უნდა განვიხილოთ დღევანდელი საკითხი. მაგრამ [illegible] თანამედროვეობის თემა [illegible] უნდა გავიგოთ, თანამედროვეობა მხოლოდ თემას კი არ გულისხმობს, არამედ [illegible] და [illegible]. ადვილი შესაძლებელია, თემა თანამედროვე იყოს, მაგრამ [illegible] ძველი, და პირიქით. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატთა შორის ვხედავთ კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებელს". მაგრამ ამასთან ერთად კ. გამსახურდიამ შექმნა თანამედროვე თემაზე დაწერილი რომანებიც — „მთვარის მოტაცება", „ვაზის ყვავილობა" და ნოველები. როგორც დადებითი მოვლენა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ისტორიული თემატიკა როდია წამყვანი ჩვენი მწერლების შემოქმედებაში. შეიქმნა თანამედროვეობის ამსახველი ახალი ღირსეული ნაწარმოებები. ამის შესანიშნავი დადასტურებაა სერგო კლდიაშვილის „[illegible] სავანე" და „ფერფლის" მეორე წიგნი, აკაკი ბელიაშვილის უკანასკნელ დროს დაწერილი რომანები, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი", დემნა შენგელაიას „განძი", თ. [illegible] რომანი „ალაზანზე".

მე ახლა ვილაპარაკებ მხოლოდ იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც ამ ბოლო წლებში დაიწერა. განსაკუთრებით ნაყოფიერი შემოქმედებით მუშაობს ჩვენი პროზის [illegible] ოსტატი სერგო კლდიაშვილი. საყურადღებოა მისი ნოველა „[illegible]". საინტერესოა მოთხრობა „[illegible]", სადაც შესანიშნავად არის ასახული ძველი ქუთაისის [illegible] სამყარო. ამჟამად ს. კლდიაშვილი ინტენსიურად მუშაობს „ფერფლის" მესამე წიგნზე. ამ წიგნს ინტერესით მოელის ქართველი მკითხველი.

ბ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა რომანის „ნატვრისთვალის" მეორე წიგნი. ბ. ლორთქიფანიძე, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში პირველმა მაღალმხატვრულად ასახა საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი ნაბიჯები, ახლა ქმნის ფართო ტილოს დღევანდელ სოფელზე. იმედი გვაქვს, რომ ამ რომანის სახით ჩვენ მივიღებთ შესანიშნავ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს.

მიხეილ მრევლიშვილმა გამოაქვეყნა რომანი „საბედისწერო მისახვევი". ჩემი აზრით, ეს უფრო რომანის ესკიზია. ამ ნაწარმოებში საინტერესო საკითხია დასმული. გამოყვანილია თანამედროვე ახალგაზრდების ორი სახე: [illegible] — მოწინავე ინჟინრისა და ოთარის — სკეპტიკოსისა, რომელსაც ამ ქვეყნად არაფერი სწამს, ყველაფერზე გულაცრუებული და უიმედოა. მათი შეჯახებისას ოთარი იღუპება. მწერალმა სწორად დასვა საკითხი, მაგრამ ამისათვის ნაწარმოების ჩარჩო ვიწრო გამოდგა. კარგი იქნებოდა, მწერალს უფრო ფართოდ აესახა ეს საჭირბოროტო თემა.

ლევან გოთუამ [illegible] გამოაქვეყნა რომანი „[illegible]". ადრე მწერალი ისტორიული თემატიკით იყო გატაცებული. უკანასკნელი რომანი კი თანამედროვეობას ეხება. აქაც ახალგაზრდების ბედია მოთხრობილი. ნაწარმოებს ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. ეს განსაკუთრებით ეტყობა დიალოგსა და [illegible] ენას.

ბოლო დროს ქართულ მწერლობაში შემოვიდა საკმაოდ ძლიერი ახალი თაობა: ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე. ხოლო ახლახან თ. ჭილაძემ გამოაქვეყნა ახალი მოთხრობა „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე". უნდა გულისტკივილით ვთქვა, რომ ეს მოთხრობა ნეიტრალურია და არა ჩანს ჩვენი დრო. ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებში ზოგ შემთხვევაში არ გვხვდება არცერთი დასამახსოვრებელი მხატვრული სახე, ისეთი სახე, როგორიც მაგალითად, გვადი ბიგვაა, მექია, ბათა ქექიაა, ხათუნა მინდელია.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო აკაკი გაწერელიას მოთხრობას („[illegible]"), გააკრიტიკა იგი და აღნიშნა, რომ მოთხრობაში გამოყვანილ ტიპს ამჟამად არავითარი სოციალური ფესვები არა აქვს.

— მკითხველი მოელის ლადო ავალიანის რომანის „ახალი პროსპექტის" დამთავრებას — განაცხადა მომხსენებელმა.

მომხსენებელი გადავიდა პოეზიის საკითხებზე.

— ბოლო დროს ჩვენს პოეზიაში, — აგრძელებს ორატორი, — მოხდა დიდი განახლება, პოეზიამ წამოჭრა დიდი, ღრმა პრობლემები. ნიშანდობლივი მოვლენაა ისიც, რომ რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატია ირაკლი აბაშიძე. მისი „პალესტინა, პალესტინა" ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია, სადაც წარსული გაცოცხლებულია თანამედროვე თვალსაზრისით. აღსანიშნავია სიმონ ჩიქოვანის ბოლოდროინდელი ციკლები: ნიკოლოზ ბარათაშვილზე და „შემოდგომის დღეები აჭარაში". ციკლი ბარათაშვილზე პოეტს ალბათ ისევე აქვს გააზრებული, როგორც თავის დროზე „სიმღერა დავით გურამიშვილზე". რაც შეეხება „შემოდგომის დღეები აჭარაში" იგი თანამედროვე პოეზიის მშვენებაა. დახვეწილი, ნათელი, ბუნებრივი, მელოდიური, მუსიკალური და პატრიოტული აზრით შთაგონებული.

გიორგი ლეონიძის ბოლოდროინდელი ლექსი, რომელიც „პრავდის" პირველ გვერდზე დაიბეჭდა, ნიმუშია სამოქალაქო პოეზიისა. აქტიურ შემოქმედებით შრომას ეწევიან ალიო მირცხულავა და კარლო კალაძე. ცალკე აღნიშვნის ღირსია კ. კალაძის ლირიკული ლექსი „მამა", სადაც სამი თაობის [illegible] და ურთიერთობაა გადმოცემული. იოსებ ნონეშვილმა უცხოეთის თემაზე დაწერილი ციკლიდან რამდენიმე მაღალმხატვრული ლექსი გამოაქვეყნა, მაგრამ საჭიროა მალე დაამთავროს ლექსების ეს ციკლი. რევაზ მარგიანი ბევრს მუშაობს, მისი პოეტური არე და ხედვის დიაპაზონი ფართოვდება. კარგი ლექსები გამოაქვეყნეს: მორის ფოცხიშვილმა, შოთა ნიშნიანიძემ, ლადო სულაბერიძემ. ამ ბოლო დროს აქტიურად არ მუშაობენ ალექსანდრე გომიაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე. ალექსანდრე გომიაშვილმა თავისი „წუთისოფლით" და „ადგილის დედით", რომლებიც მნიშვნელოვანი ლექსებია ქართულ პოეზიაში, დაამტკიცა, რომ მისგან მეტი უნდა მოველოდეთ. უნდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად პოეზია ჯანსაღი გზით მიდის და იშვიათად [illegible] ფორმალისტური ძიებები. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სამოქალაქო პოეზია თითქმის გაქრა. ასევე გაქრა ეპოსი, პოემის ტრადიცია. თუ ახლო წარსულში ჩვენ შეგვეძლო ჩამოგვეთვალა ა. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, გრ. აბაშიძის, კ. კალაძის, ო. ჭელიძის პოემები, ამჟამად, რატომღაც, ერთმა [illegible] თეორიამ მოიკიდა ფეხი, თითქოს ახლა ეპოსი კი არ არის საჭირო, არამედ ლირიკული პოემები და წამოიწია [illegible], ჯანსუღ ჩარკვიანის, ტარიელ ჭა-

(დასასრული მე-2 გვ.)

შოლოხოვის იუბილე

დიდძალი ხალხი შეიკრიბა 24 მაისს მწერლების სახლის საკონცერტო დარბაზში. აქ საზეიმოდ აღინიშნა რუსული საბჭოთა პროზის დიდოსტატის მ. ა. შოლოხოვის დაბადების 60 წლისთავი.

საზეიმო სხდომა გახსნა [illegible]. მან მოკლედ დაახასიათა ჩვენი ეპოქის გამოჩენილი მწერლის მ. ა. შოლოხოვის შემოქმედება და სულით და გულით მიულოცა მას დაბადების 60 წლისთავი. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კრიტიკოსმა [illegible].

მ. შოლოხოვს მიესალმნენ თანამოკალმენი — მოსკოვისა და როსტოვის, ლენინგრადისა და კიევის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის წარმომადგენლები.

ქართველ მწერალთა სახელით იუბილარს მიესალმა პოეტ-აკადემიკოსი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ირ. აბაშიძე. შესანიშნავი მხატვრის ტალანტის წინაშე აღტაცების გრძნობა გამოთქვა ბევრმა უცხოელმა სტუმარმა.

სიტყვით გამოსულნი გულითადად ლაპარაკობდნენ, თუ რა ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის მწერლის შთაგონებული შემოქმედება. მისი ნაწარმოებები: „წყნარი დონი", „გატეხილი ყამირი", „ადამიანის ბედი" ავსებენ ხალხის ცხოვრების ამსახველ ცოცხალი სურათებით, გამსჭვალულია მშრომელი ადამიანებისადმი სიყვარულით. ეს ნაწარმოებები სოციალისტური რეალიზმის [illegible], ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის ნათელი გამოხატულებაა. დასასრულს სიტყვით გამოვიდა მ. ა. შოლოხოვი.

დაჯილდოება

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალი მ. ა. შოლოხოვი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

• • •

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მწერალი ალექსანდრე ევდოკიმეს ძე კორნეიჩუკი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ალიო მირცხულავა



ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

დიადი რწმენით განათებული,
სულით მაღალი, მხნე და მზიანი,
მიზანს ეტრფოდეს თვალ-ანთებული,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

განვლოს ბრძოლები, სძლიოს გრიგალი,
ზღვაც გადალახოს ავდარიანი,
მუდამ ავბედთან შეურიგალი,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

ცას გააგონოს ხმა მიწიური,
კოსმოსს ეკვეთოს ელვის-ფრთიანი,
ღმერთს შეერყიოს ტახტი ციური,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

ცეცხლიც აანთოს და ხალხს გაანდოს,
დიდდეს ცხოვრება ნაპირ-კიდიანი,
უკვდავ ცეცხლივით აზრიც აანთოს,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

წინ მიუძღოდეს დროთა მსვლელობას,
ხალხს მოუხმობდეს მედგარ-ხმიანი,
გმობდეს, ებრძოდეს ომს და მკვლელობას,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

სწამდეს ერთობა, თავისუფლება,
ხალხთა ოჯახი ძმური, მთლიანი,
მტრობას ფანტავდეს ღამის ღრუბლებად,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

ჰქმნიდეს ამქვეყნის ყველა დიდებას,
ხელხვავიანი და მადლიანი,
ჰიმნად ისმოდეს მასზე დიდება,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

იყოს მებრძოლი, მუშა-მთესავიც,
აწმყო აშენოს ნათელ-დღიანი,
ცას ეწეოდეს მაღლა, მზესავით,
ჟღერდეს ამაყად: ადამიანი!

ერთი ქალია...

ჰა, კიდევ გულის კარი გაიღო,
ფიქრმა დასტოვა ლექსის ბაღია,
ტრფობის ზარითი კიდევ წაიღო,
ჩემი დამწველი ერთი ქალია.

მისი ხატება გულს ჩავისახე,
ის მახარებდა ნათელ დღესავით,
ჩემსავით ლტოლვა უყვარს მზისაკენ,
სულის მკვიდრია და ნათესავი.

გუშინ ცისაკენ დასძრა ხომალდი,
და დედამიწას გასცდა თუ არა,
დასძრა ხომალდი ვარსკვლავთ ხომლამდი,
მეტეორივით მზეს ჩაუარა.

სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია,
მისი გმირობით თავს ვაქებდი,
მწვავე წყურვილმა გზა გამიკვლია,
კიდით-კიდემდე მას დავეძებდი.

ვნახე, მომედო ტანთ ჟრუანტელი,
თითქოს მიცნო და გულს ჩამეკონა,
მზეს მიუგავდა სახე ნათელი
და თმების კონა შუქი მეგონა.

არა!. ეს იყო მარტო იმედი,
მიუწვდომელი ნატვრა გვიანი,
მაღალ ოცნების კართან მივედი,
სივრცეს გავყურებ თვალნაღვლიანი.

ისევ შორსა ვარ... გზებიც გაიყო,
აღარ მაჩვენებს დარდი ფარული,
ტრფობის ზარითი ფიქრმა წაიღო,
მის ჩემი წვაა და სიყვარული.

ვეძებ... არ ვიცი, მე ამ ძიებას —
მიჯნურობა თუ რწმენა დავარქვა,
იმედის დაცდა მეპატიება,
მაგრამ ძნელია მისი დაკარგვა.

დიდიხანია პასუხს მოველი,
გულიც ღიაა — ლექსის ბაღია.
გადამავიწყდა ტანჯვა ყოველი,
ჩემი მტანჯველი ერთი ქალია.

ბედის ვარსკვლავი

ჩემო სიცოცხლევ! იცი თუ არა,
ცას რომ სულისთქმამ შემოუარა?
აჰყვა ქარდაქარ სხივთა გაფენას,
ფრთა გაუსწორა მზის ალმაფრენას.
დაიწვა, იქცა ცთომილ ვარსკვლავად,
სხივი ცეცხლისგან ვერ განასხვავა.
კრთება ვარსკვლავი უხვად ნათესი,
ცაში ერთია მზე უნათლესი.
ერთს, იქნებ, ჩვენი ბედი ეწეროს,
ახლად ცთომილიც მას შეეწიროს!
თქმას ვერ მოასწრებ და ჩაფიქრებას,
უცებ იელვებს და ჩაგვიქრება.
მოვა სხვა დარი, სულ სხვა დროება,
ჩვენ კი შეგვიპყრობს უსაზღვროება.
არც ტანჯვას ვიგრძნობთ, არც თავდადებას,
ალბათ სიკვდილი ჰგავს დაბადებას.
ფრთებსაც ვერ გავშლით, ვეღარ დამიცავ,
ლოდად იქცევა ეს დედამიწა
და სულ ვიქროლებთ ვარსკვლავთ
გუნდებით.
ქვეყნად არასდროს არ დავბრუნდებით.
დარჩება მხოლოდ ხმა და სიმღერა,
რომ იკამკამონ მაღლა, მზისფერად.
ან ინავარდონ ქარში მერცხლებად,
ცა რომ სხივებით მოივერცხლება.
თითქოს ფენიქსად დაბადებული
და ქარიშხალში დაბუდებული —
სანამ იცოცხლებს გაზაფხულის ხმა,
ამღერებული ჩვენი გულისთქმა?
ჩემო სიცოცხლევ! მუდამ ფარული
გვაფრთოვანებდა ჩვენ სიყვარული.
ფიქრიც დაჰქროდა ლაღი ფრთის ქარად,
გული გამითბო, გამიცისკარა.
შენ ხარ სიმღერა, ცეცხლად გზნებული,
სულისთქმა ციდან მოტაცებული.
შარავანდი ხარ, ცეცხლი ყოფილი,
ჩემგან მარადის განუყოფელი.
ცაში რამდენი ჰქრება ვარსკვლავი,
ჯერ დაუთვლელი, დაუმარცვლავი.
და ჩვენც ასეთი ბედი მოგველის,
სულსაც ჩაგვიქრობს დაუზოგველი.
აწ, იქნებ, მზემაც არ მიიკაროს,
ფრთები დაუწვას, როგორც იკაროს.
მხოლოდ აღანთებს მას დღევანდელი —
ჩვენი სიცოცხლის მზე და ნათელი.
დედამიწიდან ზეცის თაღამდე —
სამშობლოს ჰიმნი ჩვენც ვიღაღადეთ.
ქვეყნის გუმბათი რეკდა ზარულად,
საუკუნის ხმაც არ გაბზარულა.
სანამ გედივით ყელს მოვიღერებ, —
ამ წუთისოფლად კიდევ იმღერებ.
ხმაც და სიმღერაც მხოლოდ ჩვენია
და სანუგეშოდ ეს დაგვრჩენია.

ქ უ თ ა ი ს ი

სად არ ვიყო, რას ვეტრფოდე,
მოვიარო მთლად სამყაროც,
მაინც თბილისს შევნატროდე,
ქუთაისმა გამახაროს.

თებერვალში რომც მიმიღოს,
თავზე თოვლი დამაყაროს,
რაგინდ მოწყენილი ვიყო, —
ქუთაისმა გამახაროს.

ჟღერდეს ქარხნის აკვნებით,
სძრავდეს მიწას და მაღაროს,
გაზაფხულის ყვავილებით
ქუთაისმა გამახაროს.

ბაღნარებში, ვით ზურმუხტი,
შუქი ნერგოს, გაახაროს
და რიონის ტკბილ ბუტბუტით
ქუთაისმა გამახაროს.

ვაჟებით და გოგონებით
ჰქროდეს, ფრთები არ დახაროს,
და აკაკის მოგონებით
ქუთაისმა გამახაროს.

მომეფეროს მზის ფერებით,
რა მისურვოს, რა მახაროს,
საამური სიმღერებით
ქუთაისმა გამახაროს.

მივესალმო შრომის კერას
და მგოსანთა საბაღნაროს,
ლექსიც აჰყვეს გულის ძგერას, —
ქუთაისმა გამახაროს.

საქართველოს ტურფა მხარე
უღრუბლოა, უდაისო.
შენ იცოცხლე, გაიხარე,
მშვენიერო ქუთაისო!

მ ზ ი ს მ ა მ უ ლ ი

მზე ფხიზლობს, მთებში ღამის გამთენი,
აანთო ცისკრის აღმოსავლელი,
მას, დედამიწის გარდა, რამდენი
სხვა ცთომილებიც აქვს მოსავლელი?

ის არის მაინც ჩვენი მზრუნველი,
დედამიწაა მისი მამული,
მიდამო, სავსე უხვი სურნელით,
და შრომის ოფლით გადანამული.

აფრქვევს მთელი დღე შუქთა შადრევნებს,
სიცოცხლეს ათბობს, წვავს ანგარებას,
და საღამომდე თვალყურს ადევნებს
ქვეყნის გაფურჩქვნას და გახარებას.

ავდრის ღრუბელი, შორს მოგროვილი,
გაჰქრა ელჭექით გადალახული,
სხივთა ვარაყით მოოქროვილი,
ბრწყინავს, ქათქათებს ცა გაზაფხულის.

და მზის მამულიც ოქროსფერია,
კაცთა სატურფო და საბაღნარო,
გესმით? ფრთოსნები როგორ მღერიან?
ხედავთ? ბუნება როგორ ნარნარობს?

ო, მზეო, მზეო! ჩვენო მზრუნველო,
სიცოცხლეს უფრო ალხენ, ანაზებ,
მარად სულმნათო და სასურველო,
დიდხანს გვაცხოვრე ამ ქვეყანაზე!

რამდენად სიტყვა...

რამდენად სიტყვა ლექსის ფრთას მოგავს,
ზეალმაფრენით ამოსატანი,
იმდენად გულში მძიმედ ამოგაქვს
მართალი სიტყვა, — ოქროს მადანი.

როგორც კეთილი გულის მადლობა,
სიტყვას ამძიმებს მხოლოდ სიმართლე,
სადაც ბნელსაქმობს უსამართლობა,
ყველგან სიმართლე მიუსინათლე!

მაშინ სიმღერაც დაგიჯერება,
გულია მისი ბუდეც და ბინაც,
გული გეძახის და გემღერება,
ოქროს კალმისფრთით ლექსიც დაფრინავს.

და ტკბილი, როგორც სიტყვა მამული,
ნამდვილი, როგორც თვითონ ბუნება, —
შენი ლექსების ხმა, ქრიამული
ჰგავდეს ბუნების ამობუნებას.

ქვეყნად სიცოცხლე...

ქვეყნად სიცოცხლე ყველას გვეყოფა,
მტერიც ეტევა და მეზობელიც,
და თუ სიკვდილი გადაგვეღობა,
მაშინ ვიწროა წუთისოფელი.

გზას ვუთმობთ... მისგან შვება სად არი?
ამ სენისაგან არვინ არ რჩება,
ემშვიდობება სახლს ბინადარი,
წამსვლელი წავა... სხვა კი დარჩება.

იყონ... სანამდე არ დაძლეულან,
იგრძნონ ხანდაზმის გადაჭარბებაც,
იყონ, იცხოვრონ ათასწლეულად,
სხვათა სიცოცხლე არ მეხარბება.

მხოლოდ ერთ ნაღველს გულში ვინახავ
და, ვიცი, — ყველა დარდობს ამაზე,
რომ ვერასოდეს ვერ დავინახავ
ამ ტკბილ ქვეყანას, ამ სილამაზეს.

რუსთაველის მოედანზე

დგეხარ ბაღში, შრიალია შტოთა,
შენ გეტრფიან, დიდებულო შოთა!
ხალხს უყვარხარ, დაგივიწყეთ განა?
მოესწარი ამ ბედნიერ ხანას.
მზე ამოვა; თბილისს ყოველ დილით
გადაწვდება შუქად შენი ჩრდილი.
ცას შესცქერი და გიტაცებს მაღლა,
მზეზე უფრო მაღალი ხარ ახლა.
თითქოს შენი თბილი სუნთქვა მესმის
გიმზერ, მხიბლავს გამოხედვა მესხის.
თითქოს შენი გულისცემაც მესმის,
საყვარელო, დამილოცე ლექსი!
გამინათე შენი მზით და მადლით —
ეს მართალი მატიანე ქართლის!
შენმა სიტყვამ და სიმღერის ძალამ —
დე, სიცოცხლე შთააგონოს კალამს!
ჰშვენის შენი დიდება და ვამაც —
ჩვენს ილიას, ჩვენს აკაკის, ვაჟას.
და ჩვენც ვგოდებთ იმ უკუღმართ ბედზე,
დღესაც, დღესაც შენს ნაკვალევს ვეძებთ.
ხმა მოგვესმის, კვალი მაინც არ ჩანს,
ქართლის გულში შენი სული დარჩა.
უკვდავ დროშად აგიტაცა ხალხმა,
ნათელ შუქს ჰფენ საქართველოს გაღმა.
სინათლე ხარ, სიმართლე ხარ ჩვენი,
მზის უჭკნობი შარავანდი გშვენის.
დგეხარ ბაღში, შრიალია შტოთა,
შენ გეტრფიან, დიდებულო შოთა!
ვეღარ დაგძლევს ქარიშხალი დროთა,
პოეტების მეფეთ-მეფევ, შოთა!

მზე და გაზაფხული

(ვარიანტი)

მიწა ბუბუნებს კიდიდან-კიდით,
ისევ სიცოცხლეს იწყებს ბუნება,
დამარცხებული ზამთარი მიდის,
უმძიმს უკანვე შემობრუნება.

გამარჯვებული, მხნე და მართალი, —
კონგურიანი კოშკი რომ არი, —
მზე გადმოდგება — ბრძენი სარდალი,
შორს გაზაფხული დგას ნაომარი.

იგი მოქმედებს სარდლის ნებაზე,
გაჰყურებს კოშკის შეუვალ კარებს,
შუქთა მარჯვენის გაელვებაზე,
რომ შეუტიოს ღრუბელთა ჯარებს.

ნიშანს მოელის... და, როგორც მაშინ,
მზად არის, ათასჯერ ნაგანგაშარი, —
დააგუგუნოს ქვემეხი მთაში
და შრომის ველზე დასძრას ლაშქარი.

ლ ე ქ ს ე ბ ი

ძნელია: ქვეყნის სამსახურისთვის
მუდამ ბობოქარ გზებით იარო,
მხნედ გამოზარდო ლექსი ურიცხვი,
ძალა და ნიჭი გაუზიარო.

თითქოს ქარცეცხლში დაბადებულან, —
განვლეს ბრძოლების დრო და ადგილი,
ყველა იღვწოდეს თავდადებულად,
ვით ჯარისკაცი ომგადახდილი.

იყოს ლექსი და შუქთა მთესავიც,
იყოს ეპოქის აზრთა მპყრობელი,
წინ მიუძღოდეს, უკვდავ მზესავით,
სამშობლოს რწმენა ჩაუქრობელი.

შფოთავდეს გულიც, — ზღვა საგანძური
და სიყვარულის ეშხით აინთოს,
აღფრთოვანებდეს ღვაწლი კაცური,
საქმე საქვეყნო და სარაინდო.

შენ კი — ლექსებზე ფიქრმა გაწვალოს, —
უძილო ღამეს რომ ედავება,
მთელი სიცოცხლე მათ ანაცვალო,
ჯანი შესწირო მათს უკვდავებას.

ჩვენი დღეების მემატიანე

გიორგი ნატროშვილი

პანტელეიმონ ჩხიკვაძემ, თავისი არც თუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არაერთი კარგი რომანით და მოთხრობით გაამდიდრა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია. ამავე დროს, მან, როგორც ადამიანმა, დატოვა კეთილი ხსოვნა თავის თანამოკალმეთა შორის, ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში, ჩვენს მკითხველებში.

ის იყო სულიერად ძალზე გაუტეხელი კაცი, რომელიც არ ეპუებოდა თავის მძიმე ავადმყოფობას. იგი რაღაც ვაჟკაცური სიმშვიდით, რაღაც სტოიკური სიმხნევით განაგრძობდა ხალხისათვის ლიტერატურულ ღვაწლს. თავის სიკვდილის დღეს ის დილით ადრე წამოდგა და სამუშაო მაგიდას მიუჯდა, ერთხანს წერდა, მერე დაიღალა, შეუძლოდ იგრძნო თავი, წამოწვა და ერთ საათში გათავდა კიდეც.

ახლა, რომ ხელახლა ვკითხულობთ პანტელეიმონის წიგნებს — სტრიქონებსა და სტრიქონებს შორის მეტად ძალუმად ვგრძნობთ ამ სულიერ ვაჟკაცობას. მას მგზნებარე შემოქმედებითი ფანტაზია ჰქონდა და მისი გული სავსე იყო ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით. ეს იყო ძლიერი სტიმული არა მარტო მისი შემოქმედებისათვის, არამედ სიცოცხლისათვისაც. ეს აძლევდა მას სულიერ და, მგონი, ფიზიკურ ძალასაც. ამ სიყვარულის სხივებით გულგამთბარი მწერალი თავისი წიგნებით მოგვითხრობდა მკითხველს ჩვენი ქვეყნის წარსულზე და აწმყოზე, საბჭოთა ეპოქის ადამიანებზე. მოგვითხრობდა წარმტაცად, დამაინტერესებლად, ამაღელვებლად. ამ წიგნებმა მისი სახელი სამუდამოდ გადაარჩინეს დავიწყებას.

მის ბიოგრაფიაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ... თვრამეტი წლის ჭაბუკს, რომ იტყვიან, სწორედ ბედმა მოუსწრო რევოლუციამ.

ლატაკი გურული გლეხის შვილი იმ ხანებში თბილისში ჩამოდის და პარტიის რიგებში შედის. 1920 წლიდან ჟურნალებში და ცალკე წიგნებად იბეჭდება პ. ჩხიკვაძის ნაწარმოებები: „სართულები" (1930 წ.), „ამხანაგი ბუთხუზი", „რომანტიკული ამბავი" (1931 წ.), „მინდვრის კვირეული" (1932 წ.), რომანი „ნაბიჯები" (1933 წ.), ისტორიული რომანი „მურზაყან დადეშქელიანი" (1934 წ.). 1937-39 წლებში ჩხიკვაძე მუშაობს რომანზე „ახალი ხმელეთი", რომლის თემა იყო განახლებული კოლხიდის მკვიდრთა ცხოვრება. ზემოხსენებული ნაწარმოებები თავის დროზე თარგმნილი და გამოცემული იყო რუსულ, უკრაინულ და სომხურ ენებზე.

პ. ჩხიკვაძის პირველივე რომანი „სართულები" საინტერესო იყო იმით, რომ ავტორმა აქ გადაგვიშალა სურათები ახალი, სოციალისტური ქალაქის ცხოვრებისა, გვიჩვენა მუშათა კლასის გმირული ენთუზიაზმი, დახატა პირველი ხუთწლედის ადამიანები, რომლებიც ამკვიდრებდნენ შრომის ახალ ფორმებს, ახალ ყოფას და ახალ მორალს. ქალაქის ცხოვრებას მიუძღვნა მწერალმა „ამხანაგი ბუთხუზიც". ამრიგად, პირველი ნაბიჯებიდანვე პ. ჩხიკვაძემ თამამად გაუკაფა გზა ახალ თემატიკას ქართულ მწერლობაში.

პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს მიუძღვნა მწერალმა თავისი ვრცელი რომანი „ნაბიჯები". თავისი ნაწარმოების მთავარი გმირის — ბეჟანის სახით ავტორმა გვიჩვენა წარმტაცი, ამაყი სულის ადამიანი, დაჯილდოებული უქცევი იმ მაღალი სულიერი თვისებებით, რომლებსაც ჩვენი ხალხი საუკუნეების განმავლობაში აცემდა და ყველაზე მეტად... სწორედ ეს ადამიანები იდგნენ ცეცხლის ყველაზე მოწინავე ხაზზე. ბეჟანის შემდეგ რევოლუციის ქარისკაცთა შორის რომანში ყველაზე უფრო კოლორიტულ ფიგურად მიგვაჩნია დათიკო შევარდნაძე. ცოცხლად დგება ჩვენს თვალწინ მისი ახოვანი ფიგურა, ჩვენ თითქოს გვესმის მისი მგრგვინავი ხმა, რისხვით დამცემი მტრისათვის და ალერსიანი ყველა იმათთვის, ვისაც სტანჯავდა და აწამებდა ძველი ქვეყანა. ესაა პორტრეტი ცხრაასხუთი წლის სახელოვანი პარტიზანისა. ის ფიცხია, ამაყი, მაგრამ სულიერად ფაქიზი და კეთილშობილი. შევარდნაძის ბუნებას მშვენივრად ახასიათებს ეპიზოდი, როცა პარტიზანთა შორის მჯდომი თავის გვარეულებს თავის პაპას შეურიგებს, რომელიც გაუტეხელი კაცი ყოფილა და ერისთავს არ ემორჩილებოდა, ძალას არ აძლევდა. და შემდეგ ვკითხულობთ:

„—ერთ მშვენიერ დღეს შევარდენა თურმე ქვეითად მიდის ნაგომრის ჭალებში გზაზე ცხენით მომავალი ერისთავი შეხვედრია. ერისთავს ყალიონი გაუწყვეტია, მაგრამ ცეცხლი არ ჰქონია და გაწყობილი ყალიონი ხელში შერჩენია. შევარდენა მიაბიჯებს თურმე მოგრძო თხილაგანის ტარით მორთულ ყალიონზე და მგზავრულს მოიდინებს.

— ყაზახო! ცეცხლი მომაწოდე! — შეუძახა თურმე ერისთავმა.

შევარდენას ყალიონი მიუწოდებია ერისთავისათვის, ვაჟკაცური სალამი მიუცია და ცოტა მოშორებით დამდგარა.

ერისთავს ყალიონი გაუბოლებია, მერე შევარდენას ყალიონი ტალახში გადაუგდია, ცხენისთვის მათრახი შემოუკრავს და ის იყო ცხენი გაეჭენებინა აპირებდა თურმე, შევარდენამ იძრო ქამრიდან დამბაჩა და შესაზარი ხმით შეჰყვირა ერისთავს: „თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ძირს ჩამოხტი და ყალიონი ხელში მომაწოდე, შე პირუტყვო მამაძაღლო". ერისთავს შიშით კანკალი აუტყდენია, ძირს ჩამომხტარა, ყალიონი ტალახიდან ამოუღია, აბრეშუმის ახალუხის კალთაზე გაუწმენდია და შევარდენასათვის გაუწოდებია, თანაც დაუტანებია: „მითხარი, რა გვარის ხარ, შენთვის აზნაურობა ალალია, თუ დღემდე არა ხარ აზნაური".

— აზნაური არა ვარ, მაგრამ თავად-აზნაურობის ზიზღი ვარო! — უპასუხია თურმე შევარდენამ".

თავის ამ წინაპრის კვალზე მიდის შევარდნაძეც — მასავით მამაცია, ქედმოუხრელი და თავისუფლებისმოყვარე; მწერალმა შესანიშნავად გვიჩვენა, რომ რევოლუცია ხდებოდა ხალხის სულშიც და ის ამიერიდან აღარ შეურიგდებოდა დამცირებას.

ამას გარდა, რომანში ავტორმა გვიჩვენა სახეები ქართველი ქალებისა, რომლებიც ვაჟკაცურად იდგნენ მხარში ქმრებს, ძმებს და მამებს, მათთან ერთად იბრძოდნენ ბარიკადებზე.

„ახალ ხმელეთში" ასახულია სოფლის ცხოვრების ის პერიოდი, როცა საკოლმეურნეო მოძრაობა ახლად იწყებოდა; რომანში ვგრძნობთ, თუ რა მაღლობელი და მშობლიური ხიბლი იგრძნეს ლატაკმა გლეხებმა, როცა მათ პირველად გაიგონეს კოლმეურნეობის სახელი, როცა პირველად გაითვალისწინეს ის პერსპექტივა, რომელიც ახალ ცხოვრებას მოჰქონდა. მწერალი გვიჩვენებს როგორ იბადებიან ახალი ადამიანები ძველთან გაუთავებელ ბრძოლაში, როგორ იწრთობიან და ვაჟკაცდებიან ისინი.

პ. ჩხიკვაძე წერდა ხატოვანი, ნათელი და ძარღვიანი ენით. სწორედ ეს რეალისტური სისადავე იყო საწინდარი მისი ნაწარმოებების წარმატებისა.

ის ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც მანამდე უცხო გზას უკვალავდა ჩვენს მწერლობაში ახალ თემატიკას, ძერწავდა ახალი, სოციალისტური ქალაქებისა და სოფლების პირველ მშენებელთა სახეებს, ხატავდა მათ ახლებურ ყოფას, მათ მღელვარე სულიერ სამყაროს და ამ გზით ახალი ფერებით ამდიდრებდა ჩვენი ლიტერატურის საგანძურს.

ორშაბათს, 31 მაისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება ცნობილი ქართველი მწერლის პანტელეიმონ ჩხიკვაძის დაბადების 60 და გარდაცვალების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ მწერლები.

დასასრულ გაიმართება კონცერტი.

თანამედროვეობის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში

(დასასრული)

ნტურიას, თამარ ჭილაძის ლირიკული მონოლოგები. ისინი თავისთავად ბრწყინვალედ არიან დაწერილი, მაგრამ აკლია სამოქალაქო მგზნებარება.

შემდეგ მომხსენებელი ეხება დრამატურგიის საკითხებს.

— დრამატურგია, — თქვა მან, — დღეს ყველაზე ჩამორჩენილი უბანია. სასიამოვნო მოვლენაა ის გარემოება, რომ რ. ჯაფარიძე, თ. იოსელიანი, ნ. დუმბაძე, ა. სულაკაური, თ. ჭილაძე დრამატურგიაშიც მუშაობენ, მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით საკუთარ ნაწარმოებთა ინსცენირებას მისდევენ.

— რაც შეეხება ლიტერატურისმცოდნეობასა და კრიტიკას, — თქვა დასასრულს ბ. ღლონტმა, — პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო პავლე ინგოროყვას თხზულებათა პირველი ტომი. მასში მთლიანად რუსთველოლოგიისადმი მიძღვნილი გამოკვლევა კი არ არის საყურადღებო, არამედ განხილულია აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის დიდი კლასიკოსების შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ბოლო წლებში გამოვიდა გურამ კანკავას, გურამ ბენაშვილის, გურამ ასათიანის, გივი მარგველაშვილის, რევაზ თვარაძის, გიორგი ცქიტიშვილის ახალი წიგნები. ჩვენმა კრიტიკამ ითავისუფლა სათანადო ბრძოლა გაუმართა ვულგარიზაციას, ფორმალიზმის მანკიერ მოვლენებს წინააღმდეგ. მაგრამ ამჟამად აქა-იქ გვხვდება ეპიგონიზმისა და თავაზიანობის რეციდივები.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ჯაბუ ამირეჯიბი შეეხო ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერ მოვლენებს და დადებითად შეაფასა ჟურნალ „მნათობის" 1965 წლის პირველ ნომერში მოთავსებული გურამ გეგეშიძის მოთხრობა „სიმღერა".

აკაკი გაწერელიამ მომხსენებელს უსაყვედურა, რომ მან მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები გამორჩა. მათ შორის დაასახელა ლადო მრელიშვილის „ყაბახი", გიორგი ქაჩახიძის „ჯარისკაცის ჩანაწერები", გიორგი შერგილაძის წერილების წიგნი. ა. გაწერელიამ გაიზიარა მომხსენებლის მიერ მისი მოთხრობის შესახებ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები.

ვლ. მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ როდესაც თანამედროვეობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის ახალი სოციალური, ინტელექტუალური რეალობა, რომელიც განაპირობებს ჩვენი ლიტერატურის განვითარებას. ჩვენი ხალხი უჩვეულოდ გაიზარდა ინტელექტუალურად. ის ახალ მაღალ მოთხოვნებს უყენებს მწერლობას. ჩვენი მწერლობა ინტენსიურად მუშაობს და თვალსაჩინო მიღწევებიც აქვს. ამას ამტკიცებს ბოლო ხანს გამოქვეყნებული მრავალი რომანი, ნოველა, მოთხრობა, კრიტიკული წერილი.

— თანამედროვე რომანი, — თქვა გიორგი მერკვილაძემ — არ საჭიროებს რთულ სიუჟეტურ ხლართს, იგი მოცულობითაც მცირეა, ფსიქოლოგიზმი და შინაგანი დინამიკა კონცენტრირებულია მოქმედი გმირების მეტყველებაში, ან რამდენიმე შეხვედრაში. ასეთი რომანი ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთში (ჰემინგუეი, ბიოლი, რემარკი, სელინჯერი) და ქართულ პროზაშიც იგი ინტენსიურად იკიდებს ფეხს. ორატორმა ილაპარაკა ლ. გოთუას რომანზე — „ლეკვი ლომისა" — და აღნიშნა მისი როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები. — ლიტერატურული კრიტიკა, — განაგრძო გ. მერკვილაძემ, — ჩამორჩება პრინციპულობის საკითხში. ამ ბოლო დროს ბევრი ნაწარმოები გამოჩნდა, მაგრამ კრიტიკამ სათანადოდ ვერ შეაფასა ისინი. ასეთებია გრ. აბაშიძის ისტორიული რომანები, ლ. გოთუას „გმირთა ვარამი", ს. ჭილაიას რომანი „ეკატერინე ჭავჭავაძე", რომლის შესახებაც ძალიან დაგვიანებით დაიწერა. მათ შესახებ არც ამ დისკუსიაზე თქმულა რამე. გამოვიდა ა. ჩხეიძის დიდი რომანი „ყარიბან ყაზილიძე", რომელმაც ბევრი მკითხველი ჰპოვა. ამ რომანის შესახებ ჟურნალ „ციცინათელაში" დაიბეჭდა ა. ბაქრაძის წერილი: „კიდევ რომანის ავ-კარგი". წერილში ლაპარაკია მხოლოდ ენაზე და არაფერია თქმული კარგის შესახებ.

— მომხსენებელმა, — განაცხადა ნოდარ ჩხეიძემ, — ბევრი ილაპარაკა ა. გაწერელიას უმნიშვნელო ნოველის შესახებ და გამოტოვა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გრ. აბაშიძის „ცხოვრება წინ არის", ს. ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე" და რ. თვარაძის კრიტიკული წერილების წიგნი.

სერგო კლდიაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა მწერლის ენის საკითხებზე, გაარჩია რამდენიმე ისტორიული რომანი და განაცხადა, რომ ჩვენმა მწერლებმა უნდა განაგრძონ ილიას, აკაკის, ნ. ლორთქიფანიძის ნათელი ენა. კლდიაშვილმა დადებითი შეფასება მისცა თ. ჭილაძის, ა. გეწაძის, ა. სულაკაურის მოთხრობებს და ახალგაზრდებს ურჩია, რომ დასავლეთს არ გაჰყვნენ და მოსწრაფეობას არ ივიწყებდნენ ლიტერატურული ხელოვნების განხილვაში. შემდეგ დაწვრილებით ილაპარაკა გრ. აბაშიძის მოთხრობაზე „ცხოვრება წინ არის". — ეს მოთხრობა, — თქვა მან, — მაღალმხატვრულია, მშვენივრად დაწერილია. გულში ჩაიწვდომს და მკითხველს ლირიკულობასთან ერთად, ინტელექტუალურ გრძნობებსაც აღუძრავს. მისი ენა ნათელი და ხატოვანია.

გივი წულუკიძემ დადებითი შეფასება მისცა მიხ. მრევლიშვილის, ა. გეწაძის, ვ. ჩეკურიშვილის ნაწარმოებებს, ხოლო გრ. აბაშიძის მოთხრობა „ცხოვრება წინ არის" თანამედროვე მწერლობის დიდ მონაპოვრად ჩათვალა.

ალექსანდრე ქუთელიამ ილაპარაკა თანამედროვე რომანის საკითხებზე, ხოლო შემდეგ გიორგი [illegible] — მწერლობისა და ხალხის ერთიანობის შესახებ.

მიხეილ მრევლიშვილი შეეხო პროზის განვითარების საკითხებს, საგანგებოდ ხაზი გაუსვა გრ. აბაშიძის ახალ მოთხრობას, მოიგონა თ. ჭილაძისა და ლ. გოთუას ნაწარმოებები, ორივე უკანასკნელის დაუწერია ენის ზედმიწევნით.

დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ბ. ღლონტი. იგი შეეხო გრ. აბაშიძის მოთხრობას „ცხოვრება წინ არის" და დაახასიათა, როგორც უკანასკნელი წლების ქართული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები.

— ჩვენ ამჟამად ასეთი ზოგადი დისკუსიის მოწყობა ვივარაუდეთ, — განაცხადა დისკუსიის დამთავრებისას ს. ჭილაიამ. — მომავალში დისკუსიებს მოვაწყობთ ცალკეულ ნაწარმოებებზე და პრობლემებზე.

აკაკის ერთი ლექსის ისტორია

ამას წინათ ვკითხულობდი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მიერ გამოცემულ კრებულს „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები". სხვა წერილებს შორის აქ დაბეჭდილია მ. ქაქელიძის წერილი არისტო ქუთათელაძეზე.

ეს ის არისტო ქუთათელაძეა, რომლის შესახებაც ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე წერდა: „ჩვენს მოღვაწეს ბ. არისტო ქუთათელაძეს ზედმიწევნით ცოდნია ძველი საგალობლები. მას უწყვეტია ცნობილ მგალობლის სიმონ კუტისაგან ხონში და დაუწერია ნოტებზე 651 ცალი საგალობლები, რომელნიც სავსეა მელოდიური სიტკბოებით, დადებულადაა შეტყვებული ძველი მგალობლების მიერ. დიდი მადლობის ღირსია ბ. ქუთათელაძე, რომელმაც უსასყიდლოდ შესძინა ეს ძვირფასი განძი ქართულ მუსიკას და დაკარგვას გადაარჩინა".

ზემოხსენებულ კრებულში მოთავსებული წერილის ავტორი გვაცნობს ამ გამოჩენილი აღმზრდელ-მასწავლებლის და მოღვაწის ცხოვრება-საქმიანობის მეტად საყურადღებო მომენტებს და წერს: „ხონიდან არ. ქუთათელაძე მოიწვიეს თბილისის ქართულ (სათავადაზნაურო) გიმნაზიაში... არ. ქუთათელაძეს ამავე დროს გაკვეთილები ჰქონდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. ვ. ტუღუშიშვილი თავის მოგონებაში — „ექვსი წელიწადი თბილისის სასულიერო სემინარიაში — 1884-1890 წ. წ." — აღნიშნავს, რომ ინსტიტუტში სემინარიელების მიღებას ხელს უწყობდა ამ სასწავლებლის მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე, აკაკის დიდი მეგობარი.

წერილის ამ ადგილმა გამახსენა ქართულ პრესაში დიდიხნის წინათ გამოქვეყნებული ერთი წერილი, რომელიც თვით არ. ქუთათელაძეს ეკუთვნის. ჩავუჯექი ძველ ჟურნალებს და ამ წერილს მივაგენი „ფასკუნჯის" 1908 წლის 7 დეკემბრის ნომერში. ავტორი აქ მოგვითხრობს აკაკის ერთ-ერთი შედევრის „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელაა" შექმნის ისტორიას. სასურველად მივიჩნიე ჩვენს მკითხველებს შევახსენოთ ეს ისტორია, მოვუსმინოთ თვით არ. ქუთათელაძეს.

„1875 წლის ზაფხულში, როცა რუსეთიდან დავბრუნდი, ბ. აკაკიმ თავისთან დამაბინავა ქუთაისში „კოლხიდის" სასტუმროში. ხელმოკლეობის გამო ბ. აკაკის ეჭირა ერთი ოთახი. არც ოთახის სამკაული იყო საზარბიელო: ერთი საწოლი, ორი ძველი სავარძელი, ორი ხელის სკამი და ერთიც ტახტი; ყოველ შემთხვევისათვის, მგონი, მუდამ მზად ჰქონდა მაგიდაზე საწერკალამი, ქაღალდი და ფანქარი.

7 სექტემბერს (1875 წ.) დილით ადრე რაღაც არაჩვეულებრივი ჩურჩული ჩამესმა ყურში. ჩურჩულმა გამომაღვიძა და დავინახე შემდეგი სურათი: მგოსანი ტუფლებში, პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა ზაფხულის თხელ პალტოში ფრთხილად დადის ოთახში და ჩურჩულებს. მე თავი მოვიმძინარე და სულგანაბული თვალყურს ვადევნებდი. ეწვია დიდებულ მგოსანს მისი სანატრელი მუზა და მასთან საუბრობდა. ბოლოს, საუბარი გათავდა, გაქრა მუზაც და ჩვენმა ყველასათვის საყვარელმა აკაკიმ მხიარულად გადმომძახა: „არისტო, არისტო, ადექი მალე და დასწერე!"

ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მე მუდამ მისი პოეზიის მოტრფიალე ვიყავი და ვიცოდი, მგოსანი დიდებულ რამეს ახუქებდა ქვეყანას. ასეც იყო. ყოველად უცვლელად და გაუსწორებლად მიკარნახებდა ბ. აკაკი და მე გულის ფანცქალით გაჭარბებული ვაწერდი ძვირფას ლექსს, რომელიც ქართულ მწერლობაში საუკუნეთა განძია, შედევრი, როგორც სხვა მისი მრავალი ლექსი".

არკადი ხუნდაძე

თანამედროვეობის სახელით

თეატრალურ ცხოვრებაში ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა თ. ჭილაძის პიესამ „აკვარიუმმა". როცა რუსთაველის თეატრის აფიშაზე ამ ახალგაზრდა პროზაიკოსის გვარი გამოჩნდა, მაყურებელი სამართლიანად დაინტერესდა. მართლაც, თ. ჭილაძემ სცადა დრამატურგის ენით გვეჩვენებინა, თუ როგორ ძლიერია თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა. იგი ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვება, გულდასმით იხედება მის აჩქარებულ რიტმში და ცდილობს მოგვცეს მისი სწორი სურათი. ახალგაზრდა დრამატურგის მხატვრული ხედვის თავისებურება მარჯვედ [illegible] სათაურიც კი — „აკვარიუმი", — რომელიც თავისთავად გარკვეულ სიმბოლიკის მატარებელია. თ. ჭილაძემ დაგვანახვა აკვარიუმივით ჩაკეტილი პროფესორ პეტრე გორგაძის ოჯახი, რომელშიც მოხვდა თუ არა [illegible] და მოძრავი ახალი პიროვნება, აკვარიუმის მშვიდობიანი სიმშვიდე დაირღვა და იძულებული არიან ახლებურად იცხოვრონ. აქ [illegible] შეჯახება მოქმედებითა და რეალური ცხოვრება, გაიხსნა კონფლიქტი, რადგან ცხოვრება, რომელსაც გორგაძეების ოჯახი [illegible], მოითხოვდა თავისი ზოგიერთი დადებითი მხარისა, დღევანდელი ახალგაზრდობისათვის, რომელიც იბრძვის, შრომობს, სწავლობს და გზას ეძიებს, მაინც მიუღებელია. ავტორს სურს, რომ გვიჩვენოს, რომ ახალგაზრდობას ბრძოლის უფრო მეტი ძალა და უნარი გააჩნიათ, უნდათ მოსპონ ეგოცენტრიზმი და ეგოისტობა, ამოიძირკვონ საკუთარი ნაჭუჭიდან და საზოგადოებრივი ინტერესები პირადულზე მაღლა დააყენონ.

თ. ჭილაძისთვის ეს პირველი ცდაა დრამატურგიაში და ამიტომაც ეს პიესა ერთგვარი დრამატურგიული ცდაა, რომელსაც სჭირდება ტილოზე გადატანისას სახეების ლაპიდარობა, გამოკვეთა, სტილის კომპაქტურობა და მოქმედების დინამიკურობის გაძლიერება.

დრამატურგის ტენდენციას კარგად აუღო ალღო სპექტაკლის რეჟისორმა გ. ჟორდანიამ. მან მთავარი ყურადღება პიესაში არსებულ [illegible] გადაიტანა. გ. ჟორდანია მიხვდა, ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების დინამიკას [illegible]. რეჟისორმა, მთელ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად, [illegible] თეატრალური საინტერესო შტრიხები შეიტანა სპექტაკლში [illegible]. საბოლოოდ მან მთავარი [illegible] და სიცოცხლე მისცა თ. ჭილაძის პერსონაჟებს, მაგრამ თუ ზოგიერთი სახე ან ხასიათი სრულყოფილად არ გამოიკვეთა, ამის ბრალი, ის გახლავთ, რომ მთავარი [illegible] მნიშვნელოვანი იყო — საინტერესო სცენური ხერხებით წარმოგვიდგინა აკვარიუმის მსხვრევის იდეა. მსახიობთა ანსამბლს წარმოადგენს აკვარიუმში მოთავსებული თევზების — ერთობლივ მოძრაობის მსგავსად მშვიდი, ლინჯი მოქმედება, რომელსაც ზოგჯერ წამით თუ გამოიყვანს წონასწორობიდან ამ ოჯახისათვის უცხო ადამიანი. გ. ჟორდანიამ ისეთივე დავალება მისცა მხატვარს თ. ლითანიშვილსაც, რომელმაც თავის მხრივ [illegible] დრამატურგისა და რეჟისორის ჩანაფიქრს და ახლა მაყურებელი ხედავს მხატვრის ნამუშევრის ცხოვრებისეულ სიცოცხლეს.

შემსრულებელთაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ს. ზაქარიაძე, რომელიც პეტრე გორგაძის როლს განასახიერებს. მსახიობი ცდილა, მისი პეტრე ნამდვილად იმ კაცის ცოცხალი პორტრეტი ყოფილიყო, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე საკუთარი შრომით მიაღწია სახელის მოხვეჭას, მაგრამ ამ სახელმა მის არსებაში გზა გაუხსნა ბიუროკრატიულ სულს, ეგოისტურ გრძნობებს და საკუთარი მორალური სიმშვიდის შესაქმნელად აკვარიუმის მსგავსი ოჯახი მოიწყო. ს. ზაქარიაძის პეტრე [illegible] ადამიანია. იგი თანახმაა სპეციალურად მისთვის შექმნილ განცხრომის სავარძელში უყურადღებოდ ისვენებდეს, ისე, რომ მისმა მეუღლემ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს ვინმეს წინაშე. ს. ზაქარიაძის პეტრეს არ უყვარს ხმამაღალი ლაპარაკი. საკმარისია მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ოდნავ უკმაყოფილების ნოტა შეეპაროს და გარშემო მყოფნი გრძნობენ რაღაც დანაშაულს მის წინაშე. პროფესორ პეტრე გორგაძეს სურს, რომ ოჯახის წევრებს, მათ შორის საკუთარ [illegible] ქალიშვილს, ინდივიდუალური სახე დაეკარგოს და [illegible]. მსახიობს თანამედროვეობრივად მიჰყავს როლი და ფინალურ სცენებში ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ რა ნელა, მაგრამ მაინც იმსხვრევა მისი თეორია და აკვარიუმის ბინადარნი [illegible].

ს. ყანჩელის ასმათი ის ქალია, რომელსაც სურს მეუღლეს მშვიდი და ურყეველი პირობები შეუქმნას. [illegible] მსახიობი [illegible] ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, რაც ასმათის სახის [illegible] და გაამდიდრა შემოქმედებითი პალიტრა. [illegible]

რიგით საინტერესო როლი იყო ზ. გვარიშვილისათვის. ეს ახალგაზრდა მსახიობი ქალი უკვე რამდენჯერმე [illegible] თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლებში. იგი იმთავითვე ამჟღავნებდა სცენური სიმართლის გადმოცემის უნარს. [illegible]

ჩანაფიქრის გადმოცემა, რაც ერთგვარად განასახიერებს ამ სახის სირთულეს. ზ. გვარიშვილის ირინეს [illegible] იგი სიყვარულსა და სითბოზე ოცნებობდა, [illegible]. აქ კი რა დახვდა? [illegible] აკვარიუმის [illegible]. და აი, ზ. გვარიშვილის ირინე თავისი გაბედული მოქმედებით ამსხვრევს პეტრე გორგაძის აკვარიუმს, [illegible]. მსახიობი განსაკუთრებით კარგად ატარებს სცენებს პეტრესთან და ფინალურ სცენაში, ლევანთან. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ — [illegible].

მ. თავაძემ გურამ გამყრელიძის საინტერესო სახე შექმნა. [illegible] მაგრამ დასამახსოვრებელ სახეს ქმნის გ. ხარაბაძე (ვაჟა). [illegible] როლებს თ. ჩარკვიანი (ნანი) და [illegible] (გურამი). [illegible]

„აკვარიუმი", რომელიც ასე ენერგიულად [illegible] ჩვენი თეატრის სცენაზე, უდავოდ [illegible] და [illegible].

ნაზი ელიაშვილი

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „აკვარიუმი".

ლიტერატურული ცხოვრება და მხატვრული თარგმანი

მხატვრული თარგმანი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და იმიტომ კი არა, რომ ვინმე საკუთარი შემოქმედებითი კრიზისის გამო ეძებდეს თავშესაფარს თარგმანის სფეროში: თარგმანი თვითონ არის მხატვრული შემოქმედების ფორმა და ის პრინციპული თვალსაზრისით განიხილება. ეს სრულიად ბუნებრივია იმ ეპოქაში, როდესაც მთელ მსოფლიოში უჩვეულოდ იზრდება ხალხთა კულტურული ურთიერთობა და ისპობა კარჩაკეტილობა, საყოველთაოდ შეიმჩნევა ხალხთა განუზომელი სწრაფვა ეროვნული თვითგამორკვევისაკენ. დედამიწის ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეებში იღვიძებს ეროვნული შეგნება და გუშინდელი დამონებული ხალხები დღეს საკუთარ ენაზე ჰქმნიან ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომელთაც თვითმყოფობის ბეჭედი აზის. ამ განსაცვიფრებელ პროცესს ვეღარ აჩერებს ვერავითარი ფორმის იმპერიალიზმი. ხალხთა ეროვნული სახის წაშლა სულ უფრო უძნელდებათ დაპყრობისა და ასიმილაციის მოყვარულ იმპერიალისტებს. კოლონიალიზმი სულს ღაფავს.

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ეროვნული თვითგამორკვევის პარალელურად ხალხთა დაახლოების პროცესიც მიმდინარეობს. ეს ორი პროცესი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული: ხალხებს სურთ გაიცნონ ერთმანეთის კულტურა, სხვისი ნაწარმოებები გადმოიტანონ საკუთარ ენაზე და ეს ეროვნულ ფორმათა ნიველირების გზით კი არ მოახდინონ, არამედ საკუთარი სახის შენარჩუნებით. სწორედ ამ ორი პროცესის შესაყარზეა აღმოცენებული თარგმანი: იგი შუამავალია ორი კულტურის ურთიერთობაში და ამავე დროს ორივე კულტურის ეროვნული სახის, უპირველეს ყოვლისა, ენის დამცველი.

ასე შორიდან იმიტომ დავიწყე, რომ ერთგვარად ამეხსნა უკანასკნელ წლებში თარგმანთა ასეთი სიმრავლე ჩვენში და თანაც მეთქვა, რომ ამ პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა ზემოთ აღნიშნული კანონზომიერება არ დაირღვეს: კულტურის ეროვნული სახის და, პირველ რიგში, ენის დაცვის ნაცვლად თარგმანმა არ მოახდინოს მისი შერყვნა და უცხო ეტალონის მიხედვით ნიველირება. ეს კი ძალიან რეალური საშიშროებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მხატვრული თარგმანი შემოქმედების წილ მდარე ხელოსნობად იქცევა, ან, რაც კიდევ უფრო სახიფათოა, — იოლი შემოსავლის წყაროდ. დიდ საქმეს აკეთებენ ჩვენი გამომცემლობები ამ უკანასკნელ წლებში, მაგრამ ბევრ თარგმანს ჯერ კიდევ შემთხვევითობის ბეჭედი აზის. ამ დიდ საქმეში წესრიგის შეტანა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების გადაუდებელი ამოცანაა. ოღონდ მისი გადაჭრა უნდა მოხდეს ჩვენი შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგამომცემლო ორგანიზაციების გაერთიანებული ძალებით. ეჭვი არ არის, რომ ძალთა ამგვარი გაერთიანება უზრუნველყოფს თარგმანის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას, თარგმანთა გამოცემის საქმეში შემთხვევითობისა და სუბიექტივიზმის აღმოფხვრას და არსებული კადრების მაქსიმალურად გამოყენებას. თარგმანის შესრულების ან მისი გამოცემის ბედი პირადი ურთიერთობის შესაბამისად კი არ უნდა წყდებოდეს, არამედ ობიექტურად და მაშინ არც ჩვენი ცნობილი მთარგმნელები შეაჩერებენ მუშაობას, აღარც ნიჭიერი ახალგაზრდობა შეხედავს უიმედოდ ამ საქმეს და „საქმოსნებიც", თუ ერთბაშად არა, თანდათან მაინც გადაშენდებიან.

ის გარემოება, რომ მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, ახლა, ვგონებ, მტკიცებას აღარ საჭიროებს, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანთა განხილვები ჭარბჭარბობით ემპირიულ-ტექნიკურ საკითხებს არ სცილდება. მაგრამ იმაზე, თუ რა უნდა ვაქციოთ რეალურ საზომად თარგმანის განხილვის დროს და როგორ მოვიმარჯვოთ ეს საზომი განხილვის პროცესში, უფრო ცალკე ლაპარაკი იქნება საჭირო. ზემოაღნიშნულ დებულებას კი (თარგმანი შემოქმედებაა) იმიტომ ვიხსენებ, რომ მინდა მოვიტანო ამ დებულების კიდევ ერთი საბუთი: ისევე როგორც ორიგინალური ნაწარმოების შემოქმედი, მხატვრული ნაწარმოების მთარგმნელიც მეტად მგრძნობიარეა თავისი ქმნილების მიმართ. ცნობილია, რომ სადაც გულწრფელობა არ არის, იქ ჭეშმარიტი შემოქმედება არ არსებობს. ცინიკოსებს არასოდეს არაფერი შეუქმნიათ, გარდა პირადი ცხოვრებისა და უკეთეს შემთხვევაში ზოგიერთი მოსწრებული აფორიზმისა, რომელიც კაცს მხოლოდ უიმედობის განწყობილებას უქმნის. რაც უფრო გულწრფელია შემოქმედი, მით უფრო განიცდის მისდამი გარემომცველი წრის დამოკიდებულებას. ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა შემოქმედი პრაქტიკულად გამძლეა გარემოცვის მიმართ და ამავე დროს დიდი შემოქმედებითი წვის მქონეც არის. და ამ შემთხვევაშიც სამწუხარო ის არის, რომ პრაქტიკული საქმიანობა მაინც შემოქმედების ხარჯზე მიმდინარეობს და უფრო ადვილებით მეტს შექმნიდა ასეთი კაცი, რომ ეს პრაქტიკული საქმიანობის აუცილებლობა არ მდგარიყო მის წინაშე. მეორე მხრივ, „არც კაცი ვარგა...", რომ „იყოს ხოდენში და ხოდენისათვის არა იზრუნოს". ეს დიდი პრობლემაა და მის გადაჭრას, რა თქმა უნდა, მე ვერც ვეცდები. მე მხოლოდ შემოქმედის განსაკუთრებულ მდგომარეობას ვუსვამ ხაზს ამ შემთხვევაში.

ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში" ჩვენმა ცნობილმა მთარგმნელმა ვახტანგ ჭელიძემ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც, თუ სწორედ გავიგე, ავტორი გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მხატვრული თარგმანის გამოსვლა და განვითარებაში ყველაფერი რიგზე არ არის, ყველანი არ არიან ჩაბმული ამ საქმეში და ბევრი რამ, რაც შეიძლება კეთდებოდეს, არ კეთდება. თუ ამ წერილის ლაიტმოტივი ის არის, რომ ყველა არ აკეთებს იმას, რაც შეუძლია (სხვებთან ერთად მეც ვიყავი ამათ შორის დასახელებული), მე ვეთანხმები წერილის ავტორს: ეს მართლაც ასეა.

იმის გამო, რომ ხსენებული წერილის ავტორმა აშკარად განაზოგადა შექმნილი ვითარება და ერთი მხრით, მთარგმნელებს (მათ შორის მეც) ბრალად დასდო მეტი რომ არა ვთქვათ, პასიურობა, ხოლო მეორე მხრით, გამომცემლობათა გულგრილობასაც მიუზღო კუთვნილი (მაგალითად, შექსპირის გამოცემის საქმეში), მე მინდა მხარი დავუჭირო ამ წერილში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ მთელი ამ საქმის ისტორიასთან საკმაოდ მჭიდროდ ვარ დაკავშირებული და ბევრი რამ ჩემს პირად გამოცდილებაში ტიპობრივია. ამიტომაც თავს ნებას მივცემ ჩემი გამოცდილების ეს ტიპობრივი გარემოებები დავასახელო როგორც ილუსტრაცია აღნიშნულ წერილში წამოყენებული დებულებების დასადასტურებლად.

წინასწარ კი მინდა განვაცხადო, რომ ვერ დავეთანხმები წერილის ავტორს, როცა ის აღნიშნავს სამწუხარო მდგომარეობას, ხოლო ამ მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებზე კი არაფერს ამბობს. სრულიადაც არ არის საკმარისი ადამიანებს უსაყვედურო, რატომ თქვენს საქმეს არ აკეთებთ, როდესაც კარგად მოგეხსენებათ ამის მიზეზი.

იმ პირობებში, როდესაც ერთს მონოპოლიზებული აქვს თარგმანის საქმე, ხოლო მეორეს კი არავინ არაფერს აძლევს, ცხადია, ყველამ არ მოისურვოს თავის დამცირება გამომცემლობათა კარზე დარეკვით? მე არ ვიცი ისეთი კაცი, ვისთვისაც კალთა ჩამოქნით, მოდი და გაყავი რამეო. ამის საპირისპირო კი ბევრი მინახავს.

ვის წაახალისებს ის გარემოება, რომ დიდი ენთუზიაზმით დაწყებული შექსპირის სრული ქართული ათტომეული კრებულის გამოცემის საქმე ხუთ ტომზე შეჩერდა და აი, მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გამოდის მეექვსე ტომი? შემდეგ ტომებზე ლაპარაკიც კი არავის უნდა.

განა შეიძლება, მაგალითად, უაილდის „ზღაპრების" ახალგაზრდა მთარგმნელებმა, ინგლისური ენის ცნობილმა სპეციალისტებმა ქ. კანდელაკმა და ნ. ჩიქოვანმა ბევრი იწვალონ კიდევ რასმე თარგმნან, როდესაც მათი შესანიშნავი თარგმანი რეცენზენტმა სრულიად უსაფუძვლოდ რუსულიდან შესრულებულად ჩათვალა?!

განა კარგია, როცა მიმდინარეობს ფარული ბრძოლა, რათა თარგმანი ერთმანეთს ხელიდან გამოგლიჯონ და ამ ბრძოლაში უფრო ღირსეული კი არ იმარჯვებს, არამედ — უფრო მოხერხებული?

ან ვის მოეწონება, როცა მშვენიერ თარგმანს თავს ლაფს ასხამენ, ხოლო უღირსისათვის ხოტბას და ქება-დიდებას არ იშურებენ რაღაც წვრილმანი პრაქტიკული მიზნებისათვის?

განა ყოველთვის ხდება ახალგაზრდა მთარგმნელთა კადრების სათანადო შერჩევა და გამოყენება? აი, მაგალითად უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისის უნივერსიტეტში ოთხი წელია არსებობს მხატვრული თარგმანის სპეციალიზაცია. ეს არ არის „მთარგმნელთა სამჭედლო". ასეთი სამჭედლო შემოქმედებითს სფეროში არც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ აქ ხდება ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლინება და მათი სწორ გზაზე დაყენება. კურსდამთავრებულთა გარკვეულ ნაწილს შეუძლია შეასრულოს ხეირიანი სამუშაო. განა მათ გამოყენებაზე არავინ უნდა ფიქრობდეს, როცა ეს სავსებით შესაძლებელია?

ყველა ეს და მრავალი სხვა ნაკლია მიზეზი შექმნილი ვითარებისა და ყველაფერი შეიძლება აღმოიფხვრას, თუ ამას საჯარო მსჯელობის საგნად ვაქცევთ. ეს ჩემი წერილიც მხოლოდ ამას ისახავს მიზნად. მე სურვილი არა მაქვს ეს უსიამოვნო ლაპარაკი გავაგრძელო, საქმის ინტერესებისათვის კი მინდა რამდენიმე პრაქტიკული წინადადება წამოვაყენო:

ჩემი აზრით, საჭიროა შედგეს სათარგმნი ლიტერატურის პერსპექტიული გეგმა, რომელშიაც აისახება ნაწარმოებთა გამოცემის თანმიმდევრობაც მათი მნიშვნელობის მიხედვით. გეგმა განხილულ უნდა იქნეს საჯაროდ სათანადო შემოქმედებითს და სამეცნიერო დაწესებულებებში (მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტი და სხვ.). ჩემთვის ცნობილია, რომ ასეთი გეგმის შედგენაზე ზრუნავს ამჟამად ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი. შესაძლებელია წინასწარ იყოს გათვალისწინებული, ისიც, თუ ვინ რას თარგმნის და ვინ რას გაუწევს რედაქციას.

კარგი იქნება შეიქმნას საკონკურსო კომისია შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის წარმომადგენლებისაგან, რომელიც პერიოდულად განიხილავს მნიშვნელოვანი ნაწარმოებების თარგმანთა წარმოდგენილ ნიმუშებს და გადაწყვეტს, რომელ მთარგმნელს უნდა მიენდოს სამუშაო. შეიძლება საჭიროდ გამოცხადდეს რესპუბლიკური კონკურსიც რომელიმე თარგმანის შესასრულებლად.

უნდა გამკაცრდეს თარგმანის რედაქტორთა თარგმანის ხარისხისათვის პასუხისმგებლობა. მაშინ ფუჭად მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ისეთი შემთხვევები, როცა მდარე თარგმანს ხელახლად თარგმნის რედაქტორი, ხოლო ეს თარგმანი კი მთარგმნელის სახელით ქვეყნდება და საზოგადოებას მცდარი შეხედულება ექმნება ამ მთარგმნელის უნარზე.

ანგარიში უნდა გაეწიოს ცნობილ მთარგმნელთა შორის დავალებათა სამართლიან განაწილებას, რათა ერთ მთარგმნელს არავინ აბრკოლებდეს, ხოლო მეორე იქამდე არ მიდიოდეს, რომ თარგმანზეღაც კი აიღოს ხელი (მე ვფიქრობ, სწორედ ეს უკანასკნელია მთავარი მიზეზი იმ მდგომარეობისა, რასაც ვ. ჭელიძე ზოგიერთი მთარგმნელის გულგრილობით და პასიურობით ხსნის).

გამომცემლობები ზოგ შემთხვევაში უნდა შეურიგდნენ ერთგვარ მატერიალურ დეფიციტსაც კი, როდესაც ისმება დიდი მწერლების თარგმნისა და გამოცემის საკითხი. განსაკუთრებით ეს ითქმის პოეტურ თარგმანებზე, რომელთა გამოქვეყნებას გამომცემლობები ზომაზე მეტად უხალისოდ ეკიდებიან. უნდა გვახსოვდეს, რომ, ვთქვათ, შექსპირის ნაწარმოებების სრული ქართული თარგმანის გამოცემა დიდი ეროვნული საქმეა და მის შედეგად მიღებული მატერიალური „ზარალი" კომპენსირებული იქნება კულტურული „სარგებლობით". სხვათა შორის, ამ ზარალსაც შეიძლება ადვილად მოუაროს კაცმა, თუ მოინდომებს. მაგალითად, კარგად დააყენოს გამოცემის რეკლამირება, მოაწყოს წინასწარი ხელმოწერა და სხვ. „საქწიგნის" საქმიანობაც არ არის ჭარბჭარბობით იდეალურად დაყენებული: არც მოთხოვნილებაა სათანადოდ აღრიცხული და დაგეგმილი და არც გასაღება. ამის მიხედვით ზოგჯერ გამოცემის ტირაჟიც ზუსტად არ არის განსაზღვრული.

რაც უფრო საიმედო ხელში იქნება გადატანილი მხატვრული თარგმანის საქმე, რაც უფრო ზომიერად და გულმოდგინედ მოეწყობა თარგმანთა განხილვები და რაც უფრო მეტი დაბრკოლება შეექმნება ხალტურასა და ძმაბიჭობას, მით უფრო მოგებული დარჩება თარგმნილი ლიტერატურა, მკითხველი საზოგადოება და ნაკლები ხიფათი შეექმნება ქართულ სალიტერატურო ენას.

გივი გაჩეჩილაძე

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

დიდედები და შვილიშვილები

ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობენ ზურა და ზურას დიდედა. დედა არ ახსოვს ზურას. მამა მეცხვარეა და დღენიადაგ მთაშია, დიდედაა ზურას მამაც, დედაც და დიდედაც.

ჩვეულებრივად ცხოვრობენ ზურა და დიდედა, ისე, როგორც ბევრი ზურა და დიდედა ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. ბევრ ქართველ მწერალს (და უცხოელ მწერალსაც) დაუწერია მათ შესახებ ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი. ბევრი რამ თქმულა დიდედისა და შვილიშვილის განუზომელ სიყვარულზე.

ამ სიყვარულზე დაწერილი ერთი ლამაზი მოთხრობა კიდევ შემატებია ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ეს გახლავთ მ. ელიოზიშვილის მოთხრობა „დიდედები და შვილიშვილები“.

საბავშვო ლიტერატურას რომ ვამბობთ, არ ვგულისხმობთ, თითქოს ეს მოთხრობა მხოლოდ ბავშვებისათვის იყოს დაწერილი. ჭეშმარიტად დაწერილი საბავშვო წიგნი ერთნაირად ხიბლავს დიდსაც და პატარასაც. ასეთი წიგნი, რა თქმა უნდა, ბავშვისათვის გასაგები უნდა იყოს, უნდა ახალისებდეს, ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ფანტაზიისა და მორალურ განვითარებას. მაგრამ ბავშვის ძალზე რთული ბუნება დახატული უნდა იქნეს სადა და ამავე დროს მრავალფეროვანი პოეტური საშუალებებით. მაშინ გახდება ამგვარი წიგნი საერთო ლიტერატურის საკუთრება.

მ. ელიოზიშვილის მოთხრობა ამგვარ ყურადღებას იმსახურებს.

ზურა და მისი დიდედა სხვა შვილიშვილებსა და დიდედებს საერთოდ ჰგვანან, მაგრამ ხასიათებით მათგან განსხვავებულნიც არიან. მე მხოლოდ ამ მოთხრობაში ვნახე პირველად ამგვარი ზურა და დიდედა, ამგვარი ჭია გიბო, ამგვარი მელა, ამგვარი თენგო და მინდვრის ცხენი.

ზურას და დიდედას ცხოვრებიდან მწერალი მოგვითხრობს ცალკეულ ეპიზოდებს. ამ ეპიზოდებში მოყოლილი ამბების მიზანია ზურას ჩააგონოს მისი ბავშვური შეცდომების არსი, ან დაანახოს მის გარშემო მომხდარი უარყოფითი თუ დადებითი მოვლენები და ამ შთაბეჭდილებებით ხდება მისი მორალური ზრდა-განვითარება.

ყველაფერ ამას მწერალი ისე აგვიწერს, რომ შეგონებანი თვალში არ გვეცემა. ამ შეგონებებთან ზურა ბუნებრივად, თანდათან, ბავშვური გულუბრყვილობით მიდის. დიდედის თვალი არ შორდება ზურას. ამას ყოველ ნაბიჯზე გრძნობს ზურა და როცა შეამჩნევს, რომ დიდედის თვალს არ გამოპარვია მისი მორიგი რაიმე, გაქცევას დააპირებს. მაგრამ „სად გარბიხარ, თინვარო?“ — მიაძახებს დიდედა და ეს ძახილიც კი საკმარისია, რომ ბავშვმა იგრძნოს თავისი შეცდომა.

„— თინვარო რა არის, დიდედ?
— შენსავით გაუგონარი ბიჭია.
— კატასაც რომ ეძახი თინვარს?
— როცა დაუკითხავად ამტვრევს მაგიდაზე, მაშინ ვეძახი“.

ასეთი საქმიანი, მაგრამ მეტად თბილი და ხატოვანი საუბარი აქვთ ერთმანეთთან შვილიშვილსა და დიდედას.

რუს ბოთლი მოჰქონდა. ზურამ ბოთლს ხელი დასტაცა. ბოთლი დაგორდა, წყლით აავსო, სული და წყლით გაწუწა ყველაფერი. დიდედამ ბოთლი წაართვა, ნამსხვრევები [illegible] გადაყარა. „რუზე ვიპოვნე, ჩემია“, გაიძახის ზურა, მაგრამ დიდედა არ აძლევს ბოთლს — „მერე რა, რომ იპოვნე, შვილო? ვიცი, მაგრამ ახლა რაღა, ისედაც ბევრი რამ იმტვრევა, შვილო, ყველაფერს უნდა გაუფრთხილდე“. დიდედის პასუხი საკმარისია, რომ ბავშვმა იგრძნოს რაც [illegible] ნაპოვნი ბოთლიც მნიშვნელოვანი საგანი გახდა. მაშასადამე, [illegible] არაფერია [illegible] და მძიმე მოვლენაა.

ამის გაცნობისთანავე პატარა სურათი დახატა მწერალმა და ისე უბრალოდ, ლამაზად და ხატოვნად, რომ თქვენ მხოლოდ სურათს ხედავთ, მაგრამ თვალს მოაშორებთ თუ არა ამ სურათს, გრძნობთ იმ შეგონების აზრს, რაც მწერალს ამ სურათით სურდა გამოეცა.

მ. ელიოზიშვილს მეტად მახვილი თვალი აქვს. პატარა ნიუანსით დიდ ადამიანურ ხასიათს გვიხატავს ხოლმე. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალს შეეხება, მაგრამ ამ დეტალით ადამიანის ხასიათის მეტად მნიშვნელოვან თვისებას ამჟღავნებს.

ზურა დიდ ქალაქში მიაბარეს სკოლაში. დიდედა კლასის კარს შეაღებს ხოლმე, ზურა უხერხულად გრძნობს თავს, როცა კარის ჭუჭრუტანიდან დიდედას თვალი უცქერის. როგორც იქნა, ანბანის წერა ისწავლა და მამას წერილი მისწერა:

„დიდედა როცა კლასში იხედება, მასწავლებელი ჯავრობს ხოლმე, მაგრა“.

ზურამ ანბანის ბოლო ასო მ-ც ისწავლა და ეს რომ აცნობოს მამას, მან დაწერა მთელი სიტყვა — მაგრა. ამ სიტყვას თითქოს მხოლოდ ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ მწერალმა ამ სიტყვაში სხვა რამეც დაგვანახვა. ზურას გულში თავმოყვარეობამ გაიღვიძა და მას ახლა მეტი მაგრი სჭირდება.

ავტორი წინასიტყვაში ამბობს:

„ბევრჯერ დაუკერებია დიდედას ზურაისათვის ლობიოზე ჩამოხეული, ან ძაღლის ნაკბენიარი შარვალი.

ზღაპრებსაც ბევრს უამბობდა დიდედა ზურას და ბევრსაც ჰკოცნიდა შუბლზე და ცხვირზე.

ყოველივე ეს და ბევრი სხვა ამბავი მოთხრობილია ამ პატარა წიგნში“.

და ყველაფერი ეს მოთხრობილია მშვენიერი, ლექსიკურად მდიდარი, სადა და ცქრიალა, ხუმრობით გამთბარი ქართული ენით.

ლადო სულაბერიძე

გულდა

იმ დღესაც დილიდან ელოდა დედამ გულდა...

— გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე!

— შეძინებაა! — ლუღლუღებდა გულდა და არ იღვიძებდა.

— ადგი, შვილო, ადგი, გადაღენე ბორბალი! — სთხოვდა გულდას დედა.

— მეზარებაა! — ბურტყუნებდა გულდა და არ დგებოდა.

მაშინ დედამ, კარადიდან მისი ახალი ბლუზა გამოიღო.

დააჭყიტა თვალი გულდამ, გადაიცვა ბლუზა. სარკე ხელში აიღო, ლამაზა წინ გაიგდო. მიდიოდა სამოვრისკენ, მიღიღინებდა:

— დედამ ბლუზა შემიკერა, აი ნახეთ როგორი, აი ნახეთ როგორი! — მიდიოდა გულდა და ფიქრობდა ტოლებში თავს მოვიწონებო, მაგრამ ისინი ადგილზე არ დაუხვდნენ. მდინარის ნაპირიდან ისმოდა ძახილები:

— იმშორ, იმშო!

— ჰამორ, ჰმოო!

— დამეთ, ნახარი ერთი პირი გადაიღით და წყალს სასმელად [illegible]!

— ააუზღურდა გულდა და ლამაზაც მიუშვა ბალახზე. მადიანად შეექცეოდა ლამაზა, გულდას კი გული მოლოდინით ელოდა, როდის მოვლენ ტოლები, თავს როდის მოვიწონებო, მაგრამ ცოტას წავიძინებ და დროც ჩქარა გაივლისო.

ასეც მოიქცა. ჯერ ლამაზა მიაბა თოკით ხეზე, კოლმეურნეების ყანებისაკენ არ გასწიოსო, შემდეგ თავი ხის ძირს მიდო და ბურანში ამოიშვა.

მოახლოება ირგვლივ ლამაზამ ბალახი სუფთად გაკრიჭა ირგვლივ, უფრო შორს კი თოკი არ უშვებს.

— მორო-მორიდ ძილსო — დაიბღავლა გულდას.

— ბაყ-ბუყ, ბაყ-ბუყ! — [illegible] თვალები გაახილეო.

— ხრრ-ხრრ! — ხვრინავდა გულდა გულდაგულ და არ იღვიძებდა.

შიოდა ლამაზას, ძალიან შიოდა და ბალახი რომ ვერ ნახა ბლუზა მოიხილა. მწვანე იყო გულდას ბლუზა. მოლივით მწვანე. მიიღო ლამაზა. მოღეჭა ხორკლიანი ენა: ღეჭა, ღეჭა, მთლად შეჭამა.

სწორედ მაშინ ამორბეს სოფლის გოგო-ბიჭები მდინარიდან ნახარი. გულდასაც მაშინ გაეღვიძა და მწარე ტირილით ჰყვებოდა:

— ბოროტი [illegible], მაგრამ მეხ ხეზე, მე [illegible] თეთრზე, მწვანე, მწვანე ტერფზე, სამკაული ლამაზამ კი ბლუზა გამიღეჭა: აი ნახეთ როგორ, აი ნახეთ როგორ!

— შენისთანა ზარმაცისა და ძილისგუდის ბედი ეს არის, ბედი უნდა! — შესძახოდნენ ტოლები და სიცილით აჭანჭიეს.

შერცხვა გულდას. უფრო მწარედ აქვითინდა. მაგრამ მოგეხსენებათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

იმ დღიდან გულდა, ბეჯითი გოგო, სკოლაშიაც, შრომაშიაც, გართობაშიაც და შინაც!

თამარ ჩხაიძე

ლ. ცაგარელის „ლალის სიზმარის“ ილუსტრაცია.
მხატვარი გ. ფოცხიშვილი.

ქართული ხალხური ზღაპრის „კოჭლი მონადირის შვილის“ ილუსტრაცია.
მხატვარი ე. ბერძენიშვილი.

მგზავრული

ჯანსუღ ჩარკვიანი

რა მინდვრები გადავყოლე,
რას არ შევხვდი, არ ვნახულობ...
მამამ მთელი საქართველო
მომატარა ამ ზაფხულს.

კაკაბივით კაკაბეთი,
ალაზანი და ორბელი,
ხორბალივით ვარსკვლავები,
ვარსკვლავივით ხორბალი.

მთებს ცხვარივით შემოუვლია,
ლაქანა და ცვაური
და მაღლობებს შერჩენია
თოვლის თეთრი ნამქერი.

თერგი მორბის ყირამალა,
ქაფი უგავს გვირილას,
თერგი უფრო მქუხარეა,
ვიდრე თვითონ ყვირილა.

კოშკებს მთები დახარიან,
ლამაზი და ბრწყინვალე,
უშბა უფრო მაღალია,
ლამაზია მყინვარი.

„ჩარი, ჩარი, ჩარირამა“,
ტყე არის თუ ქარია,
ინგურისთან დავეშვები,
იქ სოფელი ჭვარია.

სიმღერებას თანამგზავრი,
რაც მტერმა ვერ დასძლია,
გომბორი და ალაზანი,
ტანძია და ვარძია.

ველები და ვენახები,
ლურჯი და მეწამული...
ვერვის არ დაენახვება —
ჩემი დიდი მამული.

თხა-კიკინა

გივი ჭიჭინაძე

ხე ვინ მოჭრა ტყეში?
ვინ მოზიდა ხრეში?
ვინ ააგო სახლი?
სანამ იტყვის თავი,
თხა კიკინებს — მეეე!

კაკუ-კუკუ, კაკუნით
ვინ დაჭედა ორთვალა?
კარ-ფანჯრისთვის ამ დილით
ქვეყ ვინ გამოთალა?
სანამ იტყვის კოდალა,
თხა კიკინებს — მეეე!

ასე ვინ იჩალიჩა,
ვინ მოქსოვა ხალიჩა?
მთელი სახლი მოურთავს
უჰ, რა მარჯვე ქალი ჩანს.
სანამ იტყვის ობობა,
თხა კიკინებს — მეეე!

ვინ დაგავა დარბაზი?
ვინ დარეცხა ქვაბ-თასი?
სტუმრები რომ მობრძანდნენ,
სუფრა ვინღამ გაშალა?
სანამ იტყვის ყვანჩალა,
თხა კიკინებს — მეეე!

ეს კიკინა ვინაა,
ცმაცე და ცანცარა.
ყველას ნაშრომს ითვისებს,
სიტყვა არვის აცალა,
თხა პასუხობს ნაცარა — მეეე!

თინათინ კვირიკაძე

* * *

პაწაწინა ზურიკო
რომ დახატეს, ახია,
წიგნი ახალთ-ახალი
გადუხრიწავს და გახია.

* * *

[illegible] დარიჯანი
პაპამ ძალზე შეარცხვინა:
მიირთვით, ეს საჭმელი,
შენ ჭამე თუ შენმა ცხვირმა.

ერთგული მეგობრები

ყველაზე განუყრელნი და ერთგულნი ბავშვობაში შეძენილი მეგობრები არიან. რამდენი კეთილი მეგობარი შეუქმნიათ ჩვენთვის წიგნებს, რომელთა სტრიქონებსაც ჩვენი ბავშვობა დღესაც ფართოდ გახელილი თვალებით ჩასცქერის. ეს მეგობრები ერთგულ მეგზურებად დაგვყვებოდნენ, დაგვატარებდნენ ცხოვრების ბილიკებზე, გვასწავლიდნენ შრომასა და სიკეთეს, სიყვარულსა და სიმტკიცეს, ერთგულებასა და პატიოსნებას, გვაკითხებდნენ ბუნების საიდუმლოებათა ფურცლებს, გვაყვარებდნენ დედაენას, მშობლიურ ქვეყანასა და ხალხს.

შემდეგ ჩვენ ცხოვრების დიდ გზებზე გავედით და ის ჩვენი მეგობრები, ისეთივე ერთგულნი და კეთილნი, მარადიულ სიცოცხლეს განაგრძობენ და ჩვენს პატარებთან რჩებიან. და ჩვენ გვიხარია, რომ იზრდება ამ მეგობართა რიცხვი.

ეს არის საბავშვო ლიტერატურის ძალა და სილამაზე.

ჩვენმა ბავშვებმა ამას წინათ ახალი მეგობრები შეიძინეს. ესენი არიან ილო და იური კოლმაყოვი, მზეიკო და ელგუჯა, ჭაჭო და მახარიანთ მზია. ესენი არიან თეთრცხვირიანი და შავცხვირიანი ციყვები-ბაჭყინები, ყინვის პაპა და კატუნშატა.

„ყინვის პაპის საჩუქარი“ ვკითხულობთ პატარა გოგონას. ყინვის პაპას სადღაც, ღრმა, დაბნელებულ ხევში ეძინა. მზე რომ ჩავიდა, წამოდგა და თავის საქმეს შეუდგა. სულ ბოლოს წისქვილის არხზე ჩავიდა. ნაპირთან ბალახით მუხლებს დაეყრდნო, ხელები ყინვებზე შემოიწყო, ლოყები დაბერა და ნელნელა დაუწყო სულის შებერვა წყალს. წყალი გაიყინა, უცებ ყინვის პაპას წნორებქვეშიდან როდაც უჩვეულო ხმა შემოესმა. პატარა ბიჭი [illegible] წნორის ძირში, ხელები პირთან მიეტანა და ორთქლავდა.

— ხომ ხედავ, წყალს ვყინავ, ახლავე წადი აქედან, თორემ შენც გაგყინავ, გაიგე?!

ილო ყურადღებას არ აქცევს.

ყინვის პაპამ დაკვრანჩხული ჩხაკუნა თითები ბიჭს ხან ცხვირზე წაატანა, ხან ყურებზე. ილო მაინც არ შეშინდა.

თურმე ბიჭი კოლმეურნეობის ფერმიდან მომავალ დედას ელოდებოდა. დედას ხმელი ფიჩხის კონა მოჰქონდა და ილო იმის მისაშველებლად მოსულიყო.

კარგი საქმისთვის მოსულა ბიჭი. ყინვის პაპას შერცხვა თავისი საქციელისა, გულში სინანული იგრძნო და დანაშაული გამოისყიდა — ღამით ილოს სახლის ფანჯრის მინაზე „მარადი მოხატა პირველი [illegible] ციმციმა ვერცხლისფერით ილისანა ზღაპრული ტყისა, რომლის მსგავსი რამ აქამდე არავის ენახა ქვეყანაზე“.

სწორედ ზამთრის დღე იყო, ჰყინავდა როცა ეს მოთხრობა წავიკითხეთ. გოგონამ ფანჯარაში გაიხედა. ეზოში ბაზრიდან მომავალი დედა ლანდა. გავარდა, ეზოშივე შეეგება, ჩანთის წამოღებაში მიეხმარა. მეორე დილას კი იგი ყინვისაგან მოხატულ ფანჯრის მინას შესცქეროდა თვალგაბრწყინებული. ხოლო შემდეგ თვითონ ხატავდა ფანქრით ყინვის პაპას, ისეთს, როგორიც იგი რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში დაინახა.

ყინვისა და პატარა მოწიფეს ასე ამოუდგნენ მხარში ყინვის პაპა და ურჩილი ბიჭი ილო.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობების წიგნში „ბიბო“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა, შეტანილია ცამეტი მოთხრობა. ეს მოთხრობები, გარდა ერთისა, სოფელს და სოფლელი ბავშვების ცხოვრებას გვაცნობს. მოთხრობაში — „დუმილი გზაში“ — მწერალი ორიგინალური და საინტერესო ხერხით გადმოგვცემს ომის საშინელებას. გზად მიმავალ ავტორს პატარა ბიჭი შემოხვდება. ბიჭს დედა დაბომბვის დროს დაეღუპა. ფილოლოგი დედა სოფლის გრამატიკას ასწავლიდა. და ამ თორმეტი წლის ბიჭს, იური კოლმაყოვს ახლა ყველა საგანზე მეტად გრამატიკა უყვარს.

ბავშვთა მხიარული თავგადასავლებია მოთხრობილი „სინათლეში“. ამ მოთხრობის გმირები ძმები ელგუჯა და ჭაჭო გვხვდებიან მეორე მოთხრობაშიც — „ბეჭედში“. ეს შრომისმოყვარე ბიჭები ქვეყნიერად მხარში ამოსდგომიან ოჯახს.

მწერალი ცოცხლად, მსუყე სიღრმისეული სახეებით ხატავს თავის პატარა გმირებს. მახარიანთ მზია („თოთია ჩამოვიდა“) სულ ორჯერ გაიელვებს, მაგრამ მასზე დაწერილ ორიოდე ფრაზაშიც თვალნათლივ ჩანს ცოცხალი გოგონა მთელი თავისი ხასიათით, გარეგნობით, რომელსაც „თვალის უპეებში ისევ შავი ჭიპლები ესხდნენ, მაგრამ ახლა ჭიპლები მხოლოდ მაშინ იწევდნენ ფრთებს, როცა მზია უცებათ ჩერდებოდა, ანდა რამეზე კრთებოდა“.

რევაზ ინანიშვილი საბავშვო მოთხრობების ამ წიგნით გველინება როგორც ბავშვთა ფიქრებისა და გრძნობების შესანიშნავი მცოდნე და ამ ფიქრებსა და გრძნობებს ლაღად, პოეტურად, იმდენად ხატოვნად და ლაკონიურად გადმოგვცემს, რომ მკითხველი ხელშესახებად ხედავს ბავშვებსაც, მათს საქმეებსაც და მისწრაფებებსაც, ბუნების სურათებსაც და სოფლის საგნებსაც. და ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ გვებადება ერთი სურვილი: ვიხილოთ მწერლის ვრცელი საბავშვო ნაწარმოები.

ჩვენს ბავშვებს კიდევ შეემატებიან ახალი მეგობრები.

წიგნის ფურცლებიდან ცხოვრებაში დაბრუნებული ეს კეთილი გმირები მუდმივად იმყოფებიან ჩვენს პატარებთან, ჩვენი სიცოცხლის ყვავილებთან, მოქმედებენ, იბრძვიან, შრომობენ ჩვენი ბავშვების მომავლისათვის, ბავშვებისა, რომელთა დაცვის დღეს — პირველ ივნისს ესოდენი სიყვარულით აღნიშნავს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

თ. ჯანგულაშვილი

ორი მოთხრობა

პატარები

ორი ბიჭი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორე კლასშია, მეორე — მესამე კლასში.

მათ არ იციან რომელი მათგანი რომელ კლასშია. მაგრამ მათ იციან საუკუნოებით განმტკიცებული ტრადიცია, რომ ბიჭი ბიჭს უნდა დაეჭიდოს. ეს ტრადიცია ძნელად თუ დაირღვევა.

ჰოდა, შეხვდა ეს ორი ბიჭი ერთმანეთს. გაზომეს თვალით ერთმანეთი. შემდეგ ორივემ გაიხადა პიჯაკი და მამლაყინწებივით მიადგნენ ერთმანეთს.

— შენ რომელ კლასში ხარ? — ეკითხება ერთი ბიჭი მეორეს.

— მეორეში.

— მეორეში?... მე მესამეში ვარ, — ქედმაღლურად მიუგო მეორე ბავშვმა პირველს.

აიღო პიჯაკი და გასწია გზას. არ იკადრა ერთი კლასით უმცროსთან შერკინება.

არც მეორე კლასელმა შებედა მესამე კლასელს: ის ხომ უფროსია!..

ძალიან დიდი ღირსება აქვთ ამ პატარა ადამიანებს.

პირდაპირ უნივერსიტეტში

კახა სამი წლისაა. იცის, რომ დედამ უნივერსიტეტი დაამთავრა.

კახას ჰყავს ამხანაგი მასზე უფროსი ერთი წლით. კახას ამხანაგი საბავშვო ბაღში შეიყვანეს. საბავშვო ბაღიდან პირველ დღესვე დაბრუნდა აღტაცებული. თურმე [illegible]. ამიტომ ბავშვმა განაცხადა:

— მე ხვალ არ წავალ საბავშვო ბაღში...

კახამ გაიგო ეს ამბავი და სერიოზულად უთხრა დედას:

— დედიკო, არც მე წავალ საბავშვო ბაღში.

— აბა სად წახვალ? — ჰკითხა დედამ.

— მე პირდაპირ უნივერსიტეტში წავალ, — სერიოზულად უპასუხა კახამ.

როდიონ ქორქია

„ნაკადულის“ კონკურსი

არასოდეს მომწყინდება გამეორება ვაჟა-ფშაველას სიტყვებისა: „ნურავის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არა სულით მდიდარსა და ღვთით კურთხეულს, სხვას არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი“.

ნახევარი საუკუნის წინათ ნათქვამი ამ [illegible] სიტყვებით იგი უთუოდ [illegible].

მე არასოდეს მომწყინდება გამეორება მაქსიმ გორკის მრავალმეტყველი სიტყვებისა: „საბავშვო ლიტერატურას სუვერენული უნდა ჰქონდეს ტერიტორია და კანონები. მას ხელოსნები კი არ სჭირდება, არამედ დიდი მხატვრები. პოეზიას [illegible] კი არ სჭირდება, არამედ პოეზია. იგი არ უნდა იყოს დამატება მოზრდილთათვის განკუთვნილი ლიტერატურისა“.

ცნობილია, რა ამაგი დასდეს საბავშვო მწერლობას მსოფლიო ლიტერატურის სახელოვანმა წარმომადგენლებმა. ჩამოთვლა და მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. ან კი რა საჭიროა, ეს ყველას ახსოვს. სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსს არ ახსოვს. სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართული მწერლობის მდგომარეობის შესახებ გამართული დისკუსიის დროს ყველაფერზე იყო ლაპარაკი, საბავშვო მწერლობაზე კი — არა. დამახასიათებელია, რომ მომხსენებელს — ამხ. ბ. ჟღენტს არცერთი საბავშვო ნაწარმოების მხატვრული ანალიზი არ მოუცია.

მიუხედავად ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მხრივ ასეთი უყურადღებობისა, ქართული საბავშვო მწერლობა თანდათანობით წინ მიდის, ღრმავდება და ვითარდება. ჩვენ მოვუწოდებთ მშობლიური მწერლობის ყველა ნიჭიერ ოსტატს თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეში. ამჯერად მათ განსაკუთრებით ვთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, რომელიც საუკეთესო მხატვრულ (პროზულ) ნაწარმოებზე გამოაცხადა გამომცემლობა „ნაკადულმა“. შარშან ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა კონკურსის პირობები. ახლა, როცა კონკურსის დროის დამთავრებამდე საკმაოდ თვეები დარჩა, კვლავ შევახსენებთ ჩვენს მწერლებს აღნიშნული კონკურსის პირობებს.

კონკურსის ამოცანაა შეიქმნას მაღალმხატვრული ნაწარმოებები უმცროსი, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის, ხელი შეუწყოს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებების თემა აღებული უნდა იყოს თანამედროვე ცხოვრებიდან. მათში უნდა აისახოს ბავშვთა მრავალფეროვანი ცხოვრება ოჯახში, სკოლასა და სკოლის გარეთ. მთავარი გმირები უნდა იყვნენ ჩვენი მოსწავლე ბიჭები და გოგონები — კომუნიზმის მომავალი მშენებლები.

კონკურსზე მიიღება გამოუქვეყნებელი მოთხრობა ან მეცნიერულ-ფანტასტიკური, მხატვრული ნაწარმოები, რომელთა მოცულობა სამ საავტორო თაბახზე ნაკლები არ უნდა იყოს.

კონკურსზე ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იქნას მანქანით გადაბეჭდილი ორ ცალად, დევიზით. ცალკე დახურულ კონვერტში, ამავე დევიზით, მოთავსებული იქნება ფურცელი ავტორის გვარის, სახელის, მამის სახელისა და მისამართის აღნიშვნით.

პრემიების მიკუთვნება ფარული კენჭისყრით მოხდება.

კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებთათვის დაწესებულია 5 პრემია. ერთი პირველი პრემია — 1.200 მანეთი; ორი მეორე პრემია — თითოეული 800 მანეთი; ორი მესამე პრემია — თითოეული 500 მანეთი.

ნაწარმოებები, რომლებსაც არ მიეცემა პრემიები, მაგრამ დააკმაყოფილებს მაღალ მხატვრულ და იდეურ მოთხოვნებს, რეკომენდებული იქნება დასაბეჭდად.

პრემირებულ, აგრეთვე რეკომენდებულ ნაწარმოებებს გამოსცემს „ნაკადული“. ნაწარმოებში ავტორს ჰონორარი მიეცემა საერთო წესით. პრემირებული ნაწარმოები გამოიცემა გაზრდილი ტირაჟით.

კონკურსი გაგრძელდება 1965 წლის 1 სექტემბრამდე. შედეგები გამოცხადდება 1965 წლის 30 სექტემბერს.

საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5, გამომცემლობა „ნაკადული“, „კონკურსისათვის“.

დაე, ხვავიანი და სასიხარულო იყოს წლევანდელი შემოდგომა ჩვენი საბავშვო მწერლობისათვის!

ხუტა ბერულავა
გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი.

ახალგედა

ტატოს კოკროჭინა ქუდი ჰქონდა. ქუდი თეთრია, წითელი სირმით გაწყობილი. უხდება ბიჭს, თავიდან არ იშორებს კოკროჭინას.

— რა ყოჩაღია ეს ბიჭი, რა ჭკვიანი! [illegible] თმა არ გააცვივნოს, [illegible], წარამარა თავზე არ იდებს! — [illegible] დიდედა.

— დაიცათ, მოსწყინდება და მოიგდებს. — ამშვიდებს მეზობლის ძია ვანო. ძია ვანო უბრალო კაცი არ გეგონოთ. მონადირეა, კარგი, დაგეშილი ძაღლიც ჰყავს. [illegible] თოფით [illegible].

ტატოც ოცნებობს ნადირობაზე, მაგრამ [illegible] პატარა ხარო... ქარი და ქუდი ხურავს, ადგა და ეზოში გავიდა.

ქარი ამოვარდნილიყო. წითელ-ყვითელი ფოთლები ტრიალ-ტრიალით ეცლებოდნენ ხეებს — თითქოს ისევ ტოტებზე ასვლას აპირებდნენ.

დგას ტატო, შესცქერის ლურჯ ცას, ბინდში გახვეულ მთებს, ნახევრად გაშიშვლებულ ხეებს, ფარდაგად გაშლილ მიწას. [illegible], ტატოსაც [illegible] — თავიდან ქუდი წაეცალა.

— ოჰ! — გაიხარა ტატომ. [illegible] კოკროჭინას დაუძახა, მაგრამ [illegible] — ქარმა ჯერ ხეს მიაბოლა, მერე მიწაზე კოკრიკეთ დაყარა.

მოწყდა ადგილს ტატო, ქუდისაკენ გაქანდა. ის იყო სწვდა, ქარმა ქუდი ისევ აიტაცა, წაიღო და წაიღო. მისდევს, მიგორავს, მიფრინავს — მისდევს ხელებგაწვდილი ტატო. ცოტაც და წამოეწევა. ახლა კუნელის ხეს არ წამოსდო?! ის იყო მოიწია ბიჭმა, დაუბერა ქარმა, ისევ აიტაცა, დაახორიალა, ზედ ხნულებში გადაგდო ხვართან.

სად იყო და სად არა, ძია ვანოს მეძებარი თამაშა გამოხტა ბუჩქებიდან, მერე კი ძიამაც ამოჰყო თავი.

— აქ რას აკეთებ, ტატო?

— არაფერს, ზღმარტლზე წამოველი.

— შენი კოკროჭინა რაღა უყავი?

— სახლშია, — იცრუა ტატომ და ხნულებში მოცეკვავე ქუდისაკენ გაპარა თვალი.

— აჰა, ბიჭო, შენი ქუდი. გაგიფრინდა?! — ძია ვანო ქუდისაკენ წავიდა.

— მე ვერ დავეწიე და შენ... — აბუზღუნდა ტატო, ცრემლმორეულმა გახედა მხარბეჭიან, ბირკოვცანარ ძიას.

— რას ვერ დაეწიე, შე კაი კაცო. მე და ქარმა ერთმანეთის ენა ვიცით. — დაუბერა ქარმა, ისევ ააფრიალა კოკროჭინა ჰაერში, ზედ მიაგდო ძია ვანოს.

— ჰა, ბიჭო, შენი ქუდი. — ხელისგულზე დაიბერტყა ძიამ, მიაწოდა.

„მართლა სცოდნია ქარის ენა. ალბათ, იმიტომაც არ ეშინია ალიონზე ქარიშხალში სახლიდან გასვლა“, — გაიფიქრა ტატომ.

— არ დაიხურო, თორემ ისევ მოგხდის.

— მოიხდის და დავეწევი... — სიტყვა ვერ დაამთავრა ტატომ, ყურები სცქვიტა, თვალები დააჭყიტა, ნამდვილ მონადირესავით დაიძახა — მიდი, თამაშა, აი!.. აი! — თან ხელს იშვერდა ხნულებში მოხტუნავე დამფრთხალ კურდღლისაკენ. შეჭყვეტა ძაღლმა, დაიწკავწკავა, შურდულივით გავარდა.

— ნახე, ტატო, ნახე... — იძახდა გახარებული ძია ვანო.

ტატო გაიქცა ხნულისაკენ, თან ძაღლს უყვიროდა. კურდღლის [illegible] ჩანდა. მეძებარი [illegible] შოლტივით იღუნებოდა და იმალებოდა წელში, ფეხები ძლივს [illegible]. მისი ყეფა მთასა და ბარს აყრუებდა, მაგრამ უცებ გაკმინდა ხმა, წამოეწია, [illegible] კურდღელი [illegible]. ძაღლმა თავი ვერ შეიკავა და ზედ გადაახტა. ცელისპირივით შემოტრიალდა და ისევ გამოუდგა. კურდღელი კი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ [illegible]. ბოლოს მიწვდა ძაღლი, [illegible] ცხვირ-პირი გაილოკა. მერე პირში [illegible] წელზე მოხვეული [illegible] და პატრონისაკენ მშვიდად წამოიღო.

— შენი გულისაა! — შეაგება ტატო ძაღლს. კუდის ქნევით შეხედა პირველი პატარა პატრონს, ნანადირევი ფეხებთან დაუდო.

— ნადირობაც ამას ჰქვია! უთოფოდ კაცმა ძაღლს კურდღელი დააჭერინოს. — შეაქო ძია ვანომ თვალებგაფართოებული ბიჭი.

— აი — გაიცინა ტატომ. — მე ქუდს დავდევდი და...

— ქუდს დასდევს და კურდღელს იჭერს! — გაეხუმრა ძია.

ქარი გარს უვლიდა ტატოს, მაგრამ ახალგაზრდა მონადირეს კოკროჭინა ქუდის [illegible] ვეღარ უბედავდა.

დოდო ვადაჭკორია

მოვდივარ, მომიხარია!

კუკური გოგიაშვილი

დღეს დამითხოვეს... ჩვენები
ყველანი კარგად არიან,
მეორე კლასში გადავედი,
მოვდივარ, მომიხარია.

როგორ ხარ, ჩემო ბაბუა,
ძლიერ მსურს მალე გავიგო,
ტელევიზორით გიწვევთ
მე, ბებია და მამიკო!

ნახავ და მოგაზმენინებ
თბილისს, მოსკოვს და რიგასაც,
სოფელ ბიჭებსაც მოვიყვან
გოგის, ვანოს და ნიკასაც.

პატარა თოხი გალესე,
ერთად წავიდეთ ყანაში,

მიყვარს ლახტის და ფეხბურთის
ჩემს ტოლ-ბიჭებში თამაში.

მიყვარს ხოკოზე წასვლა და
მინდორ-ველებში სირბილი,
ცივ მდინარეში ჭყუმპალი,
სულ პაწაწინა წისქვილი.

საღამოს — ნახვა მწყემსების,
შორით ბღავილი ნახირის,
ბებერი ცხის კოშკიდან
გოგო-ბიჭების ძახილი.

დღეს დამითხოვეს, შინისკენ
მოვქროდი, როგორც ქარია,
შენთან მოვდივარ, ბაბუა,
მოვდივარ, მომიხარია!

კაწაწინა ლექსები

მაყვალა მრევლიშვილი

* * *

ძაღლი — ცუგა,
ფისო — კატა,
მოელი ენა დაიხატა.

* * *

იხვის პაჭუა-ბუჭუები
ხალ მიდიან
წინ-წინო!
— მაშა, მაშა, ჭუჭულებო,
ჩვენს დიდედის
მიეეწიოთ!

* * *

რიკულები,
რიკულები
ერთმანეთზე მიყრდნობილი.
[illegible]
ნაჩვრეტებში
ყვავილები,
ბევრი პეპელა,
[illegible]

* * *

მე ფიცარი მქონდა,
[illegible]
[illegible]
[illegible]
მოდი —
აუშენეთ იქვე!

* * *

ბუქნა — ბუქნა,
დათვი — ზურა,
[illegible]
აბა, ცუგა,
აბა, გუნდა!
[illegible]
აბა, ჭუკა,
აბა, ყვავი,
აბა, ცოტა სიფრთხილე!
[illegible]
[illegible]
[illegible]
გაცხოველდა!

* * *

[illegible]
თოვლს მიყვარს,
მეც!
[illegible]
[illegible] — „ტკაც“!
[illegible]
— ნუ გიყვება „ო“-ს
კუდის ბოლო მიაწერე —
[illegible]!

ილია სიხარულიძეს

მარიჯან

ეს ზამთარი სულ სხვა იყო
ზღვა გამთბარი, ვით ედემი,
ამ ახალ წელს მოველოდი
შენთან ახალ იმედებით.

სიხარულის შვილი იყავ,
სიხარულის ხოტბა მეუღლე,
მაგრამ ცუდს ჩვენს გულში
მწუხარებამ დაიბუდა.

შენ უდროოდ მოსულ სიკვდილს
[illegible]
ამხანაგებს გულდაწყვეტილს
და უნუგეშო ჩამოგვწერდა.

ლექსი ჭკნება სიხარულით
და ზღაპარი მოდის სავსე,
ჩამეხვევი ბავშვის ლიქნით გულში
წრფელი სიტყვა მოითავე!

და, ვეცოცხლე კიდევ დიდხანს
რაც დაწერე წაიკითხე,
„ამ პატარას, იმ პატარას“
შენსავით ვინ გააბრწყინებს?

8 იანვარი 1963 წ.

ბურდღუნა დათვი

ნიკოლოზ ჩაჩავა

დაბურდღუნებს დათვი,
თურმე ტკივა თათი.
— ასე დიდი თათები
რომ გტკივა, დათუნა?
იქნებ თოვლში მოგცივდა,
იქნებ ყინვამ, თუ ქარმა?
— სკიდან თაფლი ამოვსვლიდი,
დამიკბინეს ფუტკრებმა.

[illegible] ილუსტრაცია.
მხატვარი ქ. ფოცხიშვილი.

გვერდი დასაბეჭდად მოამზადა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის სექციის ბიურომ.

კეთილი ტალანტი

გამოჩენილ უკრაინელ მწერალს ალექსანდრე კორნეიჩუკს სამოცი წელი შეუსრულდა. მისი სახელი დიდიხანია გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და საყოველთაო პოპულარობა მოიხვეჭა. იგი არის ბრწყინვალე დრამატურგი, ჩვენი ეპოქის უშესანიშნავესი მხატვარი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი, დიდი ჰუმანისტი და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე. კორნეიჩუკი რევოლუციურ გარდაქმნათა ეპოქის შვილი და მისი მართალი მხატვრული მემატიანეა. საბჭოთა ხალხის რთული, მღელვარე ცხოვრება თავიდანვე მწერლის შთაგონების წყაროდ და მხატვრული სტილის განმსაზღვრელ ფაქტორად გადაიქცა.

ალექსანდრე კორნეიჩუკი სამწერლო ასპარეზზე სწორედ იმ პერიოდში გამოვიდა, როცა უკრაინული საბჭოთა დრამატურგია პირველ ნაბიჯებს სდგამდა და ფრთებს იმაგრებდა. მას არ აკმაყოფილებდა, რაც უკვე შექმნილი იყო, და თავისთავსაც დიდ მოთხოვნილებას უყენებდა. თავიდანვე დაუკმაყოფილებლობის ცეცხლი და ჯანსაღი კრიტიკული თვალსაზრისი დაჰყვა. მისი მშფოთვარე, მოუსვენარი შემოქმედებითი სული მუდამ წინ ისწრაფოდა, ახალსა და უფრო სრულყოფილს ეძებდა, მაგრამ ახლის ამ ძიებისას არასოდეს არ მისულა მემკვიდრეობის ბუნტარულ უარყოფამდე. ბეჯითად სწავლობდა კლასიკური მწერლობის ტრადიციებს, კრიტიკულად იყენებდა წინაპართა მიღწევებს და საკუთარ პოეტიკას ჰქმნიდა. ამ შინაგან ჭიდილსა და ძიებაში სწრაფად გამოიკვეთა კორნეიჩუკის დრამატურგიის თავისებურება, რომელშიც, ერთი შეხედვით, ტრადიციულიც ბევრია და უაღრესად ინდივიდუალურიც. მაგრამ ყოველთვის უპირველესად ახლის სურნელება შეიგრძნობა.

ალექსანდრე კორნეიჩუკის შემოქმედება ლიტერატურაში ლენინური ხალხურობის ერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითია. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა აქტუალური თემატიკით, მხატვრული უშუალობით და ღრმა ფილოსოფიური აზრით. მწერლის შემოქმედების იდეურ-მხატვრული დიაპაზონი მეტად ფართოა. მის მახვილ გრძნობასა და შორსმჭვრეტ მხატვრულ თვალს შეუმჩნეველი არ რჩება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანის სულის თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ კეთილ ტალანტში გაერთიანებულია ჭეშმარიტი ხელოვნების ყველა მადლი. იგი მხოლოდ ბუნებით მომადლებული ნიჭით კი არ იქცევს ყურადღებას, არამედ დიდი ოსტატობითაც. მწერალი ხატავს შემოქმედის უტყუარი თვალით დანახულ ცხოვრებისეულ სურათებსა და უაღრესად ადამიანურ ხასიათებს, მისთვის უცხოა სიტუაციებისა და სახეების ხელოვნური გამუქებაც და ხელოვნური შელამაზებაც.

ალექსანდრე კორნეიჩუკი გვიხატავს უბრალო საბჭოთა ადამიანს, მაგრამ მისი ჩვეულებრივი გარეგნობის მიღმა იშვიათი უშუალობით გვაგრძნობინებს მის სულიერ სიმდიდრესა და მშვენიერებას. დრამატურგის გმირები სრულყოფილი ადამიანური ხასიათებია, მათთვის ადამიანური არაფერი უცხო არ არის. გმირული პათოსი, სიკეთისათვის მებრძოლის ამაღლებული განცდები შერწყმულია ლირიზმსა და იუმორთან. ამიტომ არის, რომ თანამედროვე მაყურებელი მღელვარედ განიცდის მისი გმირების თავგადასავალს და მისი საუკეთესო პიესები არასოდეს არ ჰკარგავს აქტუალობას.

კორნეიჩუკის პირველი პიესები („მიჯნაზე“, „ქვის კუნძული“, „იერიში“), რომლებიც თითქმის ორმოცი წლის წინათ დაიწერა, მხატვრული ღირსებებით დიდად არ გამოირჩეოდა. მწერლის შემოქმედებითი თავისებურება უფრო მომდევნო ნაწარმოებებმა განსაზღვრა, მაგრამ ამ პირველ ნაწარმოებებშივე გამოჩნდა მრავალფეროვანი ხელოვანი, რომელმაც გადაჭრით მიიღო ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპი და გადაჭრით შეებრძოლა მეშჩანობასა და ბურჟუაზიულ ნიჰილიზმს. „ესკადრის დაღუპვისა“ და „პლატონ კრეჩეტის“ ავტორი კი უკვე დასრულებული, დიდი მასშტაბის დრამატურგად მოგვევლინა. აქ ჩვენ ვხედავთ მომწიფებულ მოაზროვნესა და მხატვარს, რომელსაც ცხოვრების უბრალო ფაქტებიც კი ფილოსოფიურად აქვს გააზრებული და ისტორიულ-ტრაგიკულ სიმაღლეზე აყვანილი. ამ პიესებმა მთელი ეპოქა შექმნა უკრაინულ დრამატურგიაში და თვალსაჩინო როლი შეასრულა მთელი საბჭოთა თეატრის განვითარებაში. „ესკადრის დაღუპვა“ საბჭოთა ტრაგედიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. იგი ახლებურად, კლასიკური ტრადიციებისაგან განსხვავებულად სწყვეტს ტრაგიკულ კონფლიქტს და უკიდურესად დაძაბულ მოქმედებას, გმირების მძიმე თავგადასავალს ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელ რომანტიკას, ოპტიმისტურ სულისკვეთებას უნარჩუნებს.

„პლატონ კრეჩეტი“ ავსებს და ავითარებს „ესკადრის დაღუპვით“ დამკვიდრებულ ტენდენციას. თუ ამ უკანასკნელში მწერალმა გვიჩვენა საბჭოთა ადამიანის უმაგალითო გმირობა და თავდადება რევოლუციის მტერთან პირისპირ ბრძოლაში, „პლატონ კრეჩეტში“ გამოხატა მისი სულის ახალი თვისებები, — დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება, დიდი ჰუმანიზმი. პლატონ კრეჩეტი ახალგაზრდა ექიმია, მაგრამ მის ქცევასა და ხასიათში ყველა პროგრესული საბჭოთა ადამიანის ზოგადი თვისებებია გადმოცემული. ამიტომ არის, რომ ამ პიესების გმირებს ახლაც ბევრი რამ აქვთ საერთო თანამედროვე ადამიანების შემოქმედებით სულთან და მათს თავგადასავალს დღესაც მღელვარებით განვიცდით. ეს უნდა ითქვას კორნეიჩუკის მომდევნო პიესებზეც („უკრაინის ველებზე“, „პარტიზანები“, „ფრონტი“, „მაკარ დუბრავა“, „ძახველის ჭალა“, „დღიურის ფურცლები“ და სხვ.), რომლებშიც აღძრული და გაშუქებულია სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მნიშვნელოვანი იდეურ-მორალური პრობლემები.

მწერალი-მოქალაქე გულმოდგინედ უსმენს ქვეყნის მაჯისცემას და აქტუალურ პრობლემებს დროულად ეხმაურება. მის ყოველ პიესაში ჩვენი ცხოვრების გარკვეული საფეხურია ასახული. ერთად კი ისინი საბჭოთა ადამიანის მიერ განვლილი დიდი და რთული გზის მხატვრულ ისტორიას ქმნიან.

მაგრამ სწორი არ იქნება, რომ ა. კორნეიჩუკის შემოქმედების წარმატების საიდუმლოება მხოლოდ მის იდეურ-თემატიკურ აქტუალობაში ვეძიოთ. მისი პიესები ყურადღებას დრამატურგიული ოსტატობითაც იქცევს. იგი არამარტო კარგად იცნობს თეატრს, მის საიდუმლოებას, არამედ ფლობს კიდეც თეატრის ბუნებას. ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო აღნიშნავდა, რომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა დრამატურგისაგან კორნეიჩუკი იმით გამოირჩევა, რომ მას აქვს თეატრალურის გრძნობა. თეატრის ბუნების გრძნობა საკმარისი არ არის, — აღნიშნავდა იგი, რომ შეგეძლოთ ნიჭიერი ნაწარმოების შექმნა, სპეციალურად კიდევ გვჭირდება განსაკუთრებული ნიჭი, რათა თეატრალური პიესა შექმნათ.

ალექსანდრე კორნეიჩუკს ეს ნიჭიც ბუნებით აქვს მომადლებული. მაგრამ არასოდეს არ კმაყოფილდება იმით, რაც მისთვის ბუნებას მიუცია. იგი მუდმივად ანახლებს, ამდიდრებს და ხვეწს თავისი მხატვრული წარმოსახვის საშუალებებს. ამიტომ არის, რომ მის ყოველ ახალ ნაწარმოებში სიახლეც იგრძნობა და ოსტატობის შემდგომი სრულყოფაც.

მთავარი მაინც ის არის, რომ ალექსანდრე კორნეიჩუკი სამოცი წლისთავს ჭაბუკური ენერგიით აღსავსე ხვდება და საბჭოთა მაყურებელს კვლავაც მრავალ სიხარულს მიანიჭებს.

ერემია ქარელიშვილი

პლატონ კაკაბაძე

1913 წლის 27 აპრილს (ძველი სტილით) ქართული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება. ქართველი საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა პირველი ეროვნული ოპერის გამოჩენას. „სახალხო გაზეთი“ სიხარულით აუწყებდა ამ ამბავს მკითხველს, თან სინანულითა და გულისტკივილით დასძენდა, რომ მთავარი როლის შემსრულებლები ქართველები არ იყვნენ.

ყველაზე მწვავედ ამას ალბათ თვით ოპერის ავტორი გრძნობდა. დიდ კომპოზიტორს კარგად ესმოდა, რომ, ეროვნული შემსრულებლის გარეშე არ არსებობს ეროვნული მუსიკა. იქნებ ამიტომაც გაუჭიანურდა ამ ოპერის დამთავრება. და ვინ იცის, ჩვენი სახელგანთქმული მომღერლები — ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი რომ არ ყოფილიყვნენ, იქნებ კიდევ ჯერ დაემთავრებინა ზაქარიას ეს ოპერა. უსარაჯიშვილოდ და უინაშვილოდ ალბათ ვერც „დარეჯან ცბიერი“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შეიქმნებოდა. ალბათ მათ ავტორებსაც — მელიტონ ბალანჩივაძესა და დიმიტრი არაყიშვილს, ამ ოპერებზე რომ მუშაობდნენ, მთავარი როლების შემსრულებლად [illegible] ვანო და სანდრო ესახებოდათ. ეს მატებდათ რწმენას, შემოქმედებით ძალასა და ენერგიას.

და როცა ამ ორ შესანიშნავ მომღერალზე ვლაპარაკობთ, უმართებულო იქნება არ გავიხსენოთ მათი წინამორბედნიც, რომლებიც ღირსნი იყვნენ თავიანთ სახელოვან თანამემამულეთა გვერდით ყოფილიყვნენ ქართული მუსიკალური კულტურის ავანგარდში იმ გარდატეხაზე. მაგრამ ბედმა არ არგუნათ ეს ბედნიერება.

ერთი ასეთი უიღბლო მომღერალი იყო პლატონ კაკაბაძე.

— როგორც თანამედროვეთა გადმოცემაში და იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, პლატონ კაკაბაძე იყო დიდი ნიჭით, ძლიერი და არაჩვეულებრივი ხმით (დრამატული ტენორი) დაჯილდოებული მომღერალი.

მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პლატონთან, ხშირად გულისტკივილით უთქვამს: პლატონ კაკაბაძე უდროოდ რომ არ დაღუპულიყო ხელ მალე საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მომღერალი და ოპერის [illegible] იქნებოდაო.

პლატონ კაკაბაძის ნიჭიერებას ერთხმად აღიარებს ყველა, ვინც მას იცნობდა.

პლატონ მიხეილის ძე კაკაბაძე დაიბადა 1864 წლის 1 სექტემბერს. როგორც გადმოგვცემენ, ბავშვს დედის — სოფიო ბალავთურიას მუსიკალური ნიჭი და სასიამოვნო ხმა გადაეცა. პირველდაწყებითი განათლება პლატონმა მშობლიურ ქალაქ ხონში მიიღო, ხოლო შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს მან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, როგორც შესანიშნავი ხმით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ. ამით გათამამებულმა და შეგულიანებულმა ჭაბუკმა გადაწყვიტა მთელი თავისი მომავალი ცხოვრება მუსიკასა და არტისტული შემოქმედებისათვის დაეთმო. მას ამ გატაცებას ხელი შეუწყო ცნობილ მომღერალ ფილიმონ ქორიძესთან და კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძესთან დაახლოებამ. გიმნაზიაში სწავლის დროს პლატონი ხშირად ხვდებოდა მათ. ფ. ქორიძე და მ. ბალანჩივაძე იმ ხანად კონცერტებს მართავდნენ დასავლეთ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში, ქუთაისშიც რამდენჯერმე დადგეს ცალკეული სცენები სხვადასხვა ოპერიდან. პლატონი ხშირად იყო მათთან, სწავლობდა ინსტრუმენტებზე დაკვრას და ხმას ავარჯიშებდა, ეხმარებოდა უფროსებს ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანაში, მონაწილეობდა კონცერტებში, წარმატებით გამოვიდა ქუთაისის ხარაზიშვილების თეატრში ფილიმონ ქორიძის მიერ დადგმული ოპერის ერთ სცენაში და საზოგადოების მოწონებაც დაიმსახურა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პ. კაკაბაძემ გადაწყვიტა ვოკალური განათლების მისაღებად პეტერბურგს გამგზავრებულიყო. საჭირო ფულის შესაგროვებლად 1890 წლის ზაფხულში კონცერტები გამართა ქუთაისში, სოხუმში, ხონში. კონცერტებს დიდი წარმატება ჰქონდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელიც პლატონს აკომპანიატორობას უწევდა.

იმავე წლის შემოდგომაზე პ. კაკაბაძე პეტერბურგს გაემგზავრა და კონსერვატორიაში მოეწყო. აქაც მელიტონ ბალანჩივაძე იყო მისი წინამძღოლი და ხელის შემწყობი, ბინაც მელიტონთან ჰქონდა.

ერთი წლის შემდეგ მეგობრების რჩევითა და წაქეზებით ახალგაზრდა მომღერალმა გაბედა და პეტერბურგის საიმპერატორო თეატრს მიმართა სტიპენდიისათვის. ამ თეატრის ცნობილმა რუსმა სოლისტებმა ლეონიდ იაკოვლევმა და ივანე მელნიკოვმა გამოსცადეს, საუკეთესო შეფასება მისცეს და უშუამდგომლეს საიმპერატორო თეატრის დირექტორთან ვსევოლოჟსკისთან, რომელსაც მოასმენინეს კიდეც პ. კაკაბაძის ხმა. 1891 წლის 16 ივნისს თეატრის დირექტორმა საგანგებო კომისია გამოყო და გამოცდა დაუნიშნა ჭაბუკს.

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ პლატონს სტიპენდიად თვეში 100 მანეთი დაუნიშნეს. მაშინ ასეთი დიდი თანხის დანიშვნა იშვიათი შემთხვევა იყო. დამწყები მომღერლისათვის საერთოდ სტიპენდია 20-25 მანეთს არ აღემატებოდა.

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლის დროს პ. კაკაბაძე ხშირად გამოდიოდა [illegible] საღამოებსა და [illegible] დიდად დაფასებული ქართველი ჭაბუკის ქებამ საქართველომდეც მოაღწია. 1891 წლის 15 ოქტომბრის ნომერში „ივერია“ ათავსებს თავისი პეტერბურგელი კორესპონდენტის წერილს, რომელშიც აღნიშნულია: „სულით და გულით ვისურვებ, რომ ბ-ნ კაკაბაძეს ქვეყნის სასახელოდ კარგად გამოეყენებინოს [illegible] ძლიერი ხმა — ბარიტონის მაგვარი მაღალი ტენორი, რომელიც მას აქვს. ქართველებში პირველი მაგალითი იქნება, რომ ბ-ნი კაკაბაძე ასეთის საზოგადოდ დიდად იშვიათი ხმით გამოვა სამუსიკო მოღვაწეობის ასპარეზზედ“.

პ. კაკაბაძე სწრაფად იზრდებოდა და ოსტატდებოდა, პეტერბურგის მუსიკალურ წრეებში ერთხმად აღიარეს მისი იშვიათი ნიჭი და დიდი მომავალი. 1893 წელს საიმპერატორო თეატრის შუამდგომლობით ახალგაზრდა ქართველი მომღერალი უმაღლესი ვოკალური ცოდნის მისაღებად სახელმწიფო ხარჯზე მიავლინეს იტალიაში, ქალაქ მილანში. აქ იგი სამი წლის განმავლობაში მეცადინეობდა პროფესორ სებასტიანი რონკონის, გარდა სამარკოსა და სხვა გამოჩენილი მუსიკის პედაგოგების ხელმძღვანელობით.

იტალიელ პედაგოგებთან ერთი წლის გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ პ. კაკაბაძემ მილანის ერთ-ერთ თეატრში მიიღო დებიუტი. ამის შემდეგ „იმერლის“ ფსევდონიმით იტალიის ქალაქებში იგი შესანიშნავად მღეროდა პირველ პარტიებს — „ფაუსტში“, „ფავორიტ ქალში“ და სხვა ოპერებში, ხოლო 1895 წლის აპრილში უკვე საუკეთესო საოპერო არტისტად აღიარებული რუსეთისაკენ გამოემგზავრა. „ივერიის“ კორესპონდენტი მილანიდან თანამემამულეებს სიხარულით აუწყებდა: „ამ დღეებში პეტერბურგს გავისტუმრეთ ახალგაზრდა მომღერალი ბატონი კაკაბაძე... ამ ყმაწვილ კაცს შესანიშნავი ტენორი აქვს და იმედია მალე სახელსაც გაითქვამს“.

1895 წლის აპრილში მილანიდან დაბრუნებისთანავე პ. კაკაბაძეს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში დებიუტი დაუნიშნეს. ახალგაზრდა ქართველი მომღერლის მოსვლამ რუსეთის საუკეთესო თეატრში, რომელშიც სახელგანთქმული მსახიობები მოღვაწეობდნენ, დიდი სენსაცია გამოიწვია.

მაგრამ ეს დებიუტი საბედისწერო გამოდგა. სცენაზე გამოსვლის წინ კაკაბაძე ცუდად შეიქნა და ხმა ჩაუწყდა. დებიუტი ჩაიშალა. მოულოდნელმა მარცხმა მძიმე გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მომღერალზე. საბოლოოდ გაუტყდა ჯანმრთელობა. რამდენიმე თვე იავადმყოფა და 1895 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა ხონში, მშობლების ოჯახში.

პლატონ კაკაბაძე გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, როცა მისი ნიჭი ჯერ კიდევ არ იყო გაფურჩქნილი, როცა მომღერალი ის-ის იყო დიდი შემოქმედების გზას უნდა დადგომოდა.

ვინ იცის, რამდენი განუხორციელებელი ოცნება, რამდენი კეთილი ფიქრი და ზრახვა ჩაიტანა საფლავში. მელიტონ ბალანჩივაძე თავისი ოპერების პირველ შემსრულებლად პლატონ კაკაბაძეს ესახებოდა. პ. კაკაბაძეს ბედმა არ აღირსა ქართულ ოპერაში გამოსვლა, მაგრამ ის იყო ერთი პირველთაგანი, რომლის არტისტულმა ნიჭმა გზა გაუკვალა ქართული ვოკალური კულტურის განვითარებას, გამბედაობა და სითამამე შემატა მომავალ თაობას.

მ. გორდაძე

ლიტერატურა და კინოხელოვნება

კადრი ფილმიდან: „წარსულის ფურცლები“.

ორმოციოდე წლის წინათ, როცა კინემატოგრაფია ჯერ კიდევ ხელოვნებად ჩამოყალიბების გზას ადგა, ბევრი ლიტერატორი იზიარებდა მწერალ ი. ტინიანოვის იმ აზრს, რომ „კინო ნელ-ნელა განთავისუფლდა მეზობელ ხელოვნებათაგან — თეატრისა და ფერწერისაგან და ახლა იგი ლიტერატურისგანაც უნდა განთავისუფლდეს“. შემდეგ, როცა კინომ სწორედ „მეზობელ ხელოვნებათა“ მეგობრულ კავშირში უდიდეს აღმავლობას მიაღწია და ნაზიმ ჰიქმეთის თქმისა არ იყოს, არამც თუ არ შეავიწროვა, არამედ უდიდესი პოპულარობაც მოუტანა ლიტერატურას, კვლავ გაისმა ზოგიერთი სასოწარკვეთილი ხმა, რომ კინო ძლიერ ავიწროებს ლიტერატურას და ახლა თითქოს დადგა დრო, როცა „ის კი არ უნდა გვიკვირდეს, თუ რა ცოტას კითხულობენ წიგნებს, არამედ ის, რომ ჯერ კიდევ კითხულობენ“. სკეპტიკოსები არსებობენ, ისტორია კი თავისი გზით მიდის. თავის გზით მიდის კინოხელოვნების ისტორიაც. ლიტერატურასა და ეკრანის ოსტატებმა კარგად იციან, თუ რა დიდი განსხვავებაა ლიტერატურული აზროვნების ბუნებასა და კინემატოგრაფიული აზროვნების ხასიათს შორის, ესმით მათი ურთიერთგავლენის შესატყვისი გზები, ისწრაფვიან შექმნან ლიტერატურული ნაწარმოების კინემატოგრაფიული ეკვივალენტი. ბევრისმთქმელი, მოკლე, პოეტური აზროვნება ყოველთვის იყო კინოს ოცნება.

უთუოდ ლაკონური აზროვნებისაკენ სწრაფვით აიხსნება უკანასკნელ ხანს ეკრანიზაციისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების სიუხვე. ეკრანიზაციის თავისებურებისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების სპეციფიკასთან დაკავშირებული პროფესიონალიზმის საინტერესო საკითხს აყენებს ახალი ქართული კინოალმანახი „წარსულის ფურცლები“, რომელშიც სამი ნოველაა გაერთიანებული.

კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაციის ძირითადი პრინციპი ძველის ზუსტი ილუსტრირება კი არ არის, არამედ თანამედროვე, ახლებური კინემატოგრაფიული გაგება, მაგრამ ამ აღიარებული პრინციპის განხორციელება ხშირად უჭირთ მათაც კი, ვისაც კარგად ესმის ეს ჭეშმარიტება.

ახალგაზრდა მხატვარი თავისი დაუცხრომელი შემოქმედებითი მგზნებარების გამო ხშირად უგულებელყოფს ხანდაზმული პროფესიონალი მხატვრისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხს „რა ითქვას“ და მხოლოდ ყურადღებას აქცევს თუ „როგორ ითქვას“, რადგან ჩქარობს როგორმე მალე გამოავლინოს საკუთარი ხმა, პროფესიული გამოირჩევა. ასეთ შემთხვევაში იგი უფრო არტისტული, ნაკლებ თავდაჭერილი და ზედმეტად პათეტიკურია. „წარსულის ფურცლების“ ავტორებს, მიუხედავად ასაკობრივი სიახალგაზრდავისა, უკვე აღარ სჭირდებოდათ საკუთარი ხმისა თუ პროფესიულობის მტკიცება. მათ უკვე შეიძლეს ყურადღება გაემახვილებინათ ადრინდელ ნამუშევრებში (გ. შენგელაიას და თ. მელიავას „თეთრი ქარავანი“, გ. შენგელაიას „ალავერდობა“, მ. კოკოჩაშვილის „არდადეგები“). ჩვენი აზრით, ახლა მათ მეტი ყურადღება უნდა მიექციათ მასალის შერჩევისათვის, ხოლო თუ მაინცდამაინც დიდი სიყვარული ჰქონდათ ხსენებული მასალისა, მაშინ მეტი პრინციპულობით უნდა ეძიებინათ მათთვის საჭირო „რა“ დღევანდელობასთან სიახლოვით გაეთანაბრებინათ პროფესიული „როგორ“-ისათვის.

პირველი კინონოველა „მიქელა“ დ. კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის ეკრანიზაციაა. დღევანდელ მაყურებელს ეუბნება, თუ არა ფილმი რაიმე ახალს?

ცნობილია, რომ კლდიაშვილის ნაწარმოებთა უმეტესობა „ცრემლნარევ ღიმილსა“ თუ „ცრემლიან სიცილს“ იწვევს, რაც რამდენადმე ხელსაყრელია ინსცენირებისათვის, ხოლო „მიქელა“ კი იმ მოთხრობების რიცხვს ეკუთვნის, სადაც მხოლოდ სევდა და ცრემლია უღიმილოდ და უპიეროდ. გასაგებია, რომ წარსულის მძიმე ცხოვრებით აღძრული ბედის ირონია, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს მოთხრობას, რეჟისორსაც ნაკლებად აძლევდა კლდიაშვილისეული ჰუმორის გაშლის საფუძველს დღევანდელობისათვის შესატყვისი ინტონაციის ძირეული ცვლილებისათვის. ლაპარაკი მხოლოდ იმაზე, თუ რა საშინელი იყო წარსული ცხოვრება უმეცრებითა და ცრურწმენით, საკმაოდ ცნობილია. სრულიად ახალი თვალთახედვის გარეშე მოთხრობის ზუსტი ილუსტრირებამ კი მძიმე დაღი დაასვა ფილმს და ალბათ იმავე სირთულის ბრალია, რომ ფილმის ავტორის ჩანაფიქრი, კლდიაშვილისეული ჩანაფიქრისაგან განსხვავებით, მცდარი მიმართულებით წარიმართა.

მოთხრობაში ავტორს სურდა ეჩვენებინა ცხოვრების სიმუხთლეთა და უმეცრების მიზეზით აღძრული ტრაგედია, რომელიც ძირითადად ადამიანისა და ბუნებისაგან განწირული ყმაწვილის — სპირიდონ სახუთან არის დაკავშირებული, ეკრანზე კი წინ წამოიწია კერის გაცივების შიშითა და ჯვარის გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილ, მორალურად გადაგვარებულ, გაველურებული მიქელას ტრაგედიამ.

ერთ თავის პირად წერილში დ. კლდიაშვილი მოთხრობა „[illegible]“ გმირის — ფუფუნას სცენაზე ხორცშესხმის გამო წერდა: „ალაპარაკეთ ფუფუნა არა როგორც მტარვალი, არამედ როგორც თავად მსხვერპლი ბნელი, გაწყალებული ცხოვრებისა... ერთი სიტყვით იმის მიხვედრილი ვიქნები, რომ მწარე სიბნელე იქნება გამოსახული და ის, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი“; დ. კლდიაშვილი უთუოდ ამასვე იტყოდა მიქელაზეც. მოთხრობაში არავინ არ არის მტარვალი. ყველა შავბნელი ცხოვრების მსხვერპლია და ეს ხაზგასმული უნდა ყოფილიყო ფილმშიც. მსახიობი გ. ტყაბლაძე უდავოდ საინტერესოა, მაგრამ მიქელას როლს, რომ ამგვარად არ წარმართავდა, თავისი უშუალობითა და გულწრფელობით კიდევ უფრო რეალისტურ და გამართლებულ სახეს შექმნიდა.

ზედმიწევნით კლდიაშვილისეულია ზ. კვერენჩხილაძის მაია. ეს მართლა ბნელი ცხოვრებით დაბეჩავებული, გამოუვალ მდგომარეობაში მიხვედრილი მსხვერპლია, რომელსაც აღარ აკვირვებს არავითარი უბედურება. ცრურწმენის საშინელ შედეგსაც იმედებითი მორჩილებით შესცქერის ის და სანთლით ხელში ამაოდ ეძებს ბნელეთიდან გამოსავალს. როგორც ვხედავთ, ამ ფილმს არა აქვს პრეტენზიები ახლებურად, თანამედროვეობის თვალთახედვით დაგვანახოს სამყარო (ცრურწმენის კრიტიკაც მიზანს ვერ აღწევს, რადგან რელიგიის მსახური აქ უფრო პროგრესული ჩანს, როცა იგი მიქელას ანტიჰუმანურობისათვის დასჯით ემუქრება). სამაგიეროდ მისთვის დამახასიათებელია ყოფითი ცხოვრების უშუალობა, ბუნებრიობის უტყუარი გრძნობა. ცხოვრებისეულ უშუალობას და სიმართლეს ანარჩუნებენ მოქმედი პირებიც.

ფინალი შედარებით უკეთ ეხმაურება თანამედროვე მაყურებლის სულისკვეთებას. ნოველის დასასრულს თავის განწმენდილ სახლში მოჰყავს მიქელას ურმის კოფოზე შემდგარი უკანასკნელი იმედი — პატარა ნასტორა. ბავშვი სახრეს უწევს ხარებს. იგი ახლა თვითონ არის მიქელას მეხრე. მიდიან ბაბუა და შვილიშვილი და ამ პოეტურ სიმბოლიკაში მაინც ძლიერს იმედიანი მომავლის რწმენაც.

ფილმში შეიმჩნევა ზოგიერთი ალოგიკურობა და უცხოური ზეგავლენაც. [illegible] გამოსულ სეფრასთან მიმხდარ, ხალხისაგან მიტოვებულ მიქელასა და მაიას ეპიზოდი აშკარა განმეორებაა „[illegible] ქალიშვილის“ მსგავსი ეპიზოდისა; უფრო ნატურალიზმია ნიაღვრის მიერ დამხრჩვალი სპირიდონის დეტალიზირებაში.

ეკრანიზაციის პრინციპებს კიდევ უფრო არღვევს მეორე ნოველა „ჯილდო“, რომელიც შექმნილია მ. ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. მიუხედავად მთელი რიგი კონკრეტული სცენების ჩამატებისა (ძველი თბილისის ხედები, სამიკიტნო, რკინიგზის დეპო და სხვ.), აქაც დაცულია პირდაპირი ილუსტრირების ხერხი და, აქ უმთავრესად, იგრძნობა სცენარის ავტორისა და რეჟისორის გიორგი შენგელაიას „პროფესიულობის დამტკიცებისაკენ“ ლტოლვა, ვიდრე შინაარსის თანამედროვე თვალთახედვით გაშუქება. ჩეხოვი ორიგინალიდან აღებულ ასეთ ფერწერულ პორტრეტზე მიკრულ ცოცხალი ადამიანის ცხვირს ადარებდა, ხოლო ბალზაკი ცოცხალი ადამიანის სხეულზე ჩამოსხმულ თაბაშირის მოდელს. ასლგადაღებით შექმნილი ეკრანიზაციაც ხშირად ამგვარად ამახინჯებს მის პირველ წყაროს. ასე მოხდა პირველ ნოველაში და აქაც ამგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ეს, უპირველესად, მ. ჯავახიშვილისა და რეჟისორის შეხედულებების სხვაობასთან არის დაკავშირებული.

მ. ჯავახიშვილმა მოთხრობაში დახატა თვითმპყრობელური რეჟიმის კლანჭებში მოქცეული პატიოსანი ჯარისკაცის სულიერი მდგომარეობა. ეს არის უბრალო ადამიანი თავისი ჯანსაღი თვისებებითა და ვნებებით, ჰუმანისტური მისწრაფებებით, ეკრანზე კი წარმოდგენილია ნიჭიერი მსახიობის ბ. გოგინავას მიერ გულწრფელი, მაგრამ მცდარად გააზრებული ჯარისკაცი, მელანქოლიური და სულიერად აფორიაქებული. მისი ქცევები, მღელვარება და განცდა ფიზიკური შეგრძნებაა უფრო, ვიდრე ცხოვრებისეული პირობებიდან გამოტანილი ლოგიკური დასკვნა. ჯარისკაცი, რომელსაც შემთხვევით შემოაკვდა მუშა, შიშის ფიქრებმა ისე დაიმორჩილა, რომ საბოლოოდ დაუკარგა ყოველგვარი ჯანსაღი ორიენტაციის უნარი. მოთხრობაში იგი გვევლინება, როგორც თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანი, რომელმაც გვერდი შეაქცია ბიუროკრატიულ წყობილებას და მხარზე თოფგადაკიდებული ომახიანი სიმღერით გაუდგა მშობლიურ სოფლისაკენ მიმავალ გზას. ფილმში პირიქით არის ყველაფერი. ჩვენ ვხედავთ სასოწარკვეთილებისაგან თავბრუდახვეულ დეზერტირს, რომელიც თოფს გადააგდებს და თვითონაც არ იცის საით გარბის გაოგნებული. მოთხრობის რევოლუციური პათოსი დაყვანილია [illegible] შიშამდე, შეცვლილი ჰუმანიზმი ინსტინქტურ თანაგრძნობამდე. მოთხრობის ოპტიმისტური ფინალი შეიცვალა ცხოვრებისაგან გაქცეული დეზერტირის უიმედობით.

სწორი ეკრანიზაციის თვალსაზრისით შედარებით უკეთესია კინონოველა „მიხა“, მას სცენარის ავტორმა და რეჟისორმა მ. კოკოჩაშვილმა საფუძვლად დაუდო მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „მუსუსი“. მართალია, არც ამ ნოველის სახით გვაქვს სრულყოფილი ეკრანიზაციის საუკეთესო მაგალითი, მაგრამ იგი მაინც ყურადღებას იპყრობს, რადგან აქ ფილმის შემქმნელთა პროფესიული დონე ახლებური ცოცხალი კინემატოგრაფიული ენით გამოხატავს ლიტერატურული წყაროს შინაარსს, მოთხრობაში მოცემული ადამიანური ვნებების, ჯანსაღი მისწრაფებების პოეტური ლირიზმი და უშუალობით გამთბარი სილამაზე კარგად შეინარჩუნეს ფილმის შემქმნელებმა. დღესათვის რაიმე განსაკუთრებულს არც ეს ფილმი გვეუბნება, მაგრამ იგი მაყურებელს იზიდავს იმ ადამიანური განცდებისა და მისწრაფებების ცოცხალი გამოვლენით, რომელიც ხიბლავს და აღელვებს ყველა დროის ადამიანს. ამ ფილმში ადამიანები წარმოდგენილნი არიან თავიანთი ავ-კარგით, მისწრაფებებით. მათ შორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა მიხა (ზ. ქაფიანიძე), მას მხარში უდგას ფუფალი (მ. ზახარაძე), რომლებიც გულწრფელად უყვართ ერთმანეთი. მეშჩანური კარჩაკეტილობის წარმომადგენლები, ფუფალის მშობლების სახით, ცდილობენ ამ ჯანსაღ ლტოლვას წინ გადაეღობონ, მათთან არის შეძლებით მიხაზე უფრო მდიდარი სიკო (ა. მახარაძე), მაგრამ გულწრფელ სიყვარულს რა დააოკებს. ფილმში კომედია არ არის, მაგრამ მის დრამატიზმში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ჩართულია იუმორი და სიხალისე.

როგორც ვხედავთ, კინოალმანახი „წარსულის ფურცლები“ მხატვრული თვალსაზრისით არ იმსახურებს საყვედურს. პირიქით, მასში უხვად არის გამოყენებული მდიდარი გამომსახველობითი საშუალებები, რეჟისორისა და ოპერატორის საინტერესო შემოქმედებითი ხერხები. მასში არის შინაარსობრივად ამაღელვებელი სცენებიც, მხილებულია წარსულის ცხოვრების სისასტიკე და ბნელი მხარეები, იმარჯვებს [illegible] ჭაბუკური სიყვარულიც, წარმოდგენილია მსახიობთა უშუალობით განცდილი სახეები... ერთი სიტყვით, არის „რა“ და „როგორ“ თავისი მრავალფეროვნებით, მაგრამ არ არის მთავარი, თუ „რისთვის“. არავის არ აეჭვებს ის ნიჭი და უნარი, რომელიც ახალგაზრდებმა ამ კინოალმანახს მოახმარეს, მაგრამ დღეს, დიდი შემოქმედებითი პროგრესის ეპოქაში, ტყუილი დროის დაკარგვაა მხოლოდ პროფესიულობის ექსპერიმენტების ჩატარება. ისედაც ნათელია [illegible] ნდობა, [illegible] მათი აღიარებული პროფესიულობა უფრო [illegible] და ნაყოფიერი გზით წარიმართოს.

გივი ბარამიძე

მე მაინც მოვიგე

— კი, შევცდი. რაც მართალია, მართალია შევცდი: ერთი შეცდომა ვის არ მოუვა ცხოვრებაში და მეც მომივიდა. ავყევი სხვის ფულის ხმას და კინაღამ საქვეყნოდ მომჭრა თავი, კინაღამ ერთი გაზეთის სატირული ფელეტონის [illegible] შევიქენი.

— მოიცა, კაცო, ვიცი რაღაცის თქმა გინდა, მაგალითად ის კი ნუ გამიგებ, თითქოს სხვისთვის საზიანო საქმისათვის მომეკიდოს ხელი. არა. ოღონდ ძველი ვალივით ნუ დამადგები ყელზე და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

...იმ დღესაც მშვენიერი დილა გათენდა. ადრე მიყვარს ადგომა და გამამხნევებელი ვარჯიშით სხეულის გაკაჟება. ის იყო დავიწყე ხელების ზევით აწევა და ორი მუხლის გაკეთება, რომ ჩემზე ადრე წამომდგარი ადამიანის მიერ დარეკილი ზარის ხმა გაისმა კორიდორში. ვინ იქნებოდა თუ არა ფოსტალიონი. შევწყვიტე დაწყებული ვარჯიში, გავაღე კარი და ქერათმიანმა ფოსტალიონმა გადმომცა კონვერტი და თან ეშმაკური ღიმილი გამოაყოლა. ღიმილში ფულს არავინ იხდის და ამიტომ მეც გავუღიმე.

ჩვეულებრივ არავინ [illegible] ისეთი, რომ ჩემთვის წერილის მისაწერად მოიცალოს და ამიტომ ინტერესით დავაცქერდი კონვერტს, რომელსაც [illegible] ნიშანი ამშვენებდა, ჩემი მისამართი ეწერა და ა. შ.

ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დამეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა: ვის მოვაგონდი, და გავხსენი კონვერტი.

მოკითხვას არ [illegible], მაგრამ ასეთ ოფიციალურ მიმართვას თუ წავიკითხავდი არც [illegible]:

„პატივცემულო ამხ...გო, ამ წერილის მიღებისთანავე [illegible] ფულის ლატარიაში... თქვენ [illegible] ერთ მანეთს... თქვენ [illegible] ამ წერილის ზუსტი... [illegible] წერილი გადასცეთ [illegible] პირებს, რომლებიც [illegible] არ ჩამოიხსნან... და ბოლოს მიიღებთ...“ — ისეთი თანხა იყო დასახელებული, რომ მე კი არა, კარგი სქელი ჯიბის მქონე კაციც კი შეცდებოდა.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: იმ [illegible] და დილის ვარჯიშის დაუმთავრებლად დავიწყე წერილების გადაწერა. მერე წერილებით ჯიბეგამოტენილი გამოვედი გარეთ და დავუწყე ნაცნობებს ძებნა, რომ წერილები მიმეჩეჩებინა, რაც გარანტია იქნებოდა ჩემი გამდიდრებისა.

ნაცნობებს მოკლებული არა ვარ და ოთხი წერილი მალე გავასაღე. ერთი წერილი კი კვლავ გულს მიფორიაქებდა. ის იყო ფოსტით უნდა გამეგზავნა, რომ ჩემი [illegible] ზურაბი შემომეყარა წინ. დიდი მოკითხვის თავი არ მქონდა და მოვუყევი ჩემი იმედიანი ისტორია.

ჯერ გაიცინა. მერე ხელი გამომიწოდა და მითხრა, მე გავასაღებ, თუმცა მეტად საეჭვო ამბავია და არ გირჩევ ამ საქმის გაგრძელებასო. წერილი მაინც მივეცი და ვთხოვე სანდო კაცისათვის გადაეცა.

...ერთი კვირა ისე გავიდა, რომ ფულის ნაღვარი კი არა, პატარა წყაროც არსად გამოჩენილა. კვირის თავზე ჩემმა [illegible] ფოსტალიონმა გადმომცა კონვერტი, რაშიც [illegible] მანეთიანი იდო. [illegible], რომლებიც ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და რომლებიც [illegible]: მე ფულის ზღვაში ვსახლობდი.

კიდევ გაისმა ჩემს სახლში ზარის ხმა. კვლავ ჩემს კარებთან შეჩერდა ფოსტალიონი. წერილებიდან ერთი ამოარჩია და გადმომცა.

— მანეთიანი! — გავიფიქრე და ისე შევვარდი ოთახში, რომ მადლობის ნიშნად არც კი გავუღიმე სიკეთის მომტანს.

გავხსენი კონვერტი. რას იქმ, რა დაკარგვაა. რა მანეთიანი, რის მანეთიანი. [illegible] კონვერტში, რომელსაც [illegible] ნიშანი ჰქონდა. სამაგიეროდ იდო [illegible] ფურცელი, რომელიც დაახლოებით ასეთ შინაარსს ლაპარაკობდა:

„პატივცემულო ამხანაგო, მივიღე თქვენი წერილი, რითაც გსურთ ჩამაბათ უსაქმურებისაგან გამოგონილ რაღაც ფულის ლატარეაში. მე თქვენ ვერ გიცნობთ, მაგრამ თქვენზედაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, როგორიც იმ „რაციონალიზატორებზე“. ნუთუ, თანამედროვე პატიოსანმა ადამიანმა ვერ უნდა შეიგნოს, რომ ასეთი გზით ფულის მოგება სხვას თუ არას გაწყობდეს: ყალთაბანდობაა. თქვენც გირჩევთ [illegible] გონებას და თუ უსაქმური ხართ, საქმეს მოკიდოთ ხელი, რომ პატიოსანი შრომით ფულიც იშოვოთ და კარგი სახელიც.

მარინა...“

მე უსაქმური არა ვარ, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს წერილი ლანძღვა თუ არა, მორიდებული ძაგება მაინც იყო. ეჭვი რომ არა, თამაში ჩემი გამოგონილი არ იყო და რატომ უნდა შემერჩინა ვიღაც მარინასათვის შეურაცხყოფა.

გადავწყვიტე. შურისძიების ყველაზე ეფექტური საშუალება რომ მომეგონებინა ეს საქმე მეორე დღისთვის გადავდე.

...გაზაფხულის დილა იყო, გრილი და სამი. მარინას წერილის დასაბრუნებელ მისამართის კვალს გავყევი და მივადექი [illegible] რკინის ჭიშკარს, რომელზედაც ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი დაწესებულების ფირნიში იყო გაკრული.

მარინასთან არ შემიშვეს. აბა, რა შვილი ვუყავი, ფართოდ გაეღო კარები და ეთქვათ — „მობრძანდითო“. დარაჯს ვთხოვე, — როგორმე მათი თანამშრომელი მარინა გამოეძახებინა. ვინ ხართო — მკითხა. მეგობარი-მეთქი, — ვუთხარი და თან გულში ჩამეცინა, კარგი მეგობარი კი ვარ, გამოვა და რა დღეს იმას დავაყენებ შენ უფრო მეთქი.

რამდენ ხანს ვიცადე არ ვიცი, მაგრამ წესი რომ [illegible] შემეჩვენებოდა ეს კარგად მახსოვს. ბოლოს როგორც იქნა [illegible]: დარაჯმა მითხრა — მოდისო.

გაზაფხულის დღე იყო. სიო ოდნავ არხევდა ხეებზე ახლადგამოყრილ ფოთლებს. არავის ცხელოდა. მე კი ცეცხლი მეკიდებოდა და ცოტა სიმწრისაგანაც რომ მომმატებოდა დარაჯის ჯიხური ჩემი კრემატორიუმად გადაიქცეოდა.

წითელი ფერი ყველას ყურადღებას იქცევს და, ალბათ, სახე რომ ზომაზე მეტად აწითლებული მქონდა მარინამაც ამიტომ მომაქცია ყურადღება, პირდაპირ მომმართა:

— თქვენ მკითხულობთ?

ჩემს წინ იდგა ქალიშვილი, რომლის ნახვასაც მთელი სიცოცხლე ვცდილობდი, ვნატრობდი, ვოცნებობდი და ოცნებაშივე [illegible], ქალიშვილი, რომელიც მიყვარდა დაუსწრებლად.

— დი... ახ, მე.

— გისმენთ.

გაზაფხულის დღე იყო. მე ვიწოდი და მერე უნდა მეძია შეურაცხყოფისათვის.

— მე არ ვარ უსაქმური, მე...

— არ მესმის რას ამბობთ?

— მე არ ვარ უსაქმური, მე... თქვენ...

— ხო... ეს თქვენ ხართ?

— დიახ, დიახ...

— არ მოგეწონათ ჩემი პასუხი?

— მე, მე მოდიოდი ვიდექი შეურაცხყოფისათვის.

მარინამ ჩაიცინა, მერე ხელი გამომიწოდა. მეც გავუწოდე და დავემშვიდობე...

მას შემდეგ ბევრი წყალი არ ჩავლილა. ჩვენ კიდევ შევხვდით ერთმანეთს. მერე კიდევ, მერე კიდევ და სულ სხვა დონეზე.

იოლი გზით გამდიდრება არ მაინტერესებს. ან რა საჭირო იყო ლატარეაში ჩაბმა. მაგრამ...

მე იმ ლატარეით მაინც მოვიგე.

...მოდით ჩემთან სახლში, ჩემს პატარა ოჯახში და ჩემი მარინა, ჩემი სიმდიდრე ისეთი ხაჭაპურებით გაგიმასპინძლდებათ, რომ უკეთესს ვერ ინატრებთ.

მოდით, აუცილებლად მოდით და ახალშეუღლებულებს დაგვილოცეთ ბედი.

გივი ჯოხაძე

მეცნიერის ხსოვნის საღამო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში გაიმართა პროფ. ი. ჟორდანიას დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა.

პროფ. ი. ჟორდანიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა პროფ. გ. ფიცხელაურმა. სიტყვები წარმოთქვეს და დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა, პროფესორებმა: ქ. ჩაჩავამ, ა. ფსტიაშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ე. მაჭავარიანმა, თ. საყვარელიძემ, სოციოლოგმა ქ. ბაქრაძემ.

ი. ჟორდანია დიდი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის ისტორიკოს თედო ჟორდანიას შვილი იყო. ორატორებმა ილაპარაკეს მის დიდ ერუდიციაზე, ფართო განათლებაზე და იშვიათ ადამიანურ ღირსებებზე. მათ აღნიშნეს, რომ პროფ. ი. ჟორდანიას უყვარდა მუსიკა, ლიტერატურა, საერთოდ ხელოვნების ყველა დარგი კარგად ესმოდა.

დასასრულს, დიდი მეცნიერის ძმამ — თ. ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა ამ შესანიშნავი საღამოსათვის და დამსწრეთ საინტერესო მოგონება გაუზიარა.

ნელი ჩაჩავა

„მნათობი“ № 5

„მნათობის“ მაისის ნომერი, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, აქვეყნებს ს. ჩიქოვანის, რ. მარგიანის, ჯ. ჭარელიძის ლექსებს, გ. ნატროშვილის, ბ. მატბერაშვილის, რ. ქორქიას მოთხრობებს, თ. ბუაჩიძის ომისდროინდელ ქრონიკებს, ო. ჩხეიძის რომანის „კვერნაქის“ გაგრძელებას, ნ. მიქავას, ა. კოკილაშვილის, ს. თურნავას, ა. სტურუნის, მ. კვესელავას, ნ. ჯაშის, გ. კაჭახიძის, ბ. გაჩეჩილაძის სტატიებსა და რეცენზიებს და წერილს გ. მატბერაშვილის შესახებ.

ნეკროლოგი

ნ. ი. კანდელაკი

ქართველ ფილოლოგ მკვლევართა რიგებს გამოაკლდა ჩუმი და უპრეტენზიო, უანგარო და სპეტაკი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ილიას ძე კანდელაკი.

ნ. ი. კანდელაკი დაიბადა 1907 წელს, მახარაძის რაიონში, სოფ. ბახვში.

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ კანდელაკი მუშაობას იწყებს ბათუმის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და მთელი არსებით ებმება პედაგოგიურ საქმიანობაში. აქვე იწყება ნ. კანდელაკის სამეცნიერო მოღვაწეობა. სწორედ ბათუმში მუშაობის დროს გამოაქვეყნა მან თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი.

1938 წლიდან ნ. კანდელაკი თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს საქართველოს განათლების კომისარიატში, პარალელურად საშუალო სკოლებში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას.

1941-1944 წ.წ. იგი მუშაობდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად. 1944-1946 წლებში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად, 1946 წლიდან კი გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ჯერ დოცენტად, შემდეგ კი პროფესორად.

1948 წელს ნ. კანდელაკმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1962 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1963 წელს მას მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1964 წელს კი პროფესორის სამეცნიერო წოდება.

ნ. კანდელაკი ავტორია წიგნისა „ქართული მჭევრმეტყველება“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ფართო საზოგადოებაში.

ღვაწლმოსილი მეცნიერი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან მისი მოწინავე ლექტორი იყო.

ნ. კანდელაკის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მოსწავლეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება
გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66119 რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-54-04, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04738